

4.


თინათინ ცქიტიშვილი – ფილოლოგიურ მეცნიერებათა დოქტორი.

ქართულ მეცნიერებაში მართა-მარიამ დედოფლის განსაკუთრებული როლი ქართულ-ბიზანტიურ ინტელექტუალურ ურთიერთობაში, პირველმა წარმოაჩინა თინათინ ცქიტიშვილმა, რომელმაც დაიცვა სადოქტორო დისერტაცია ოემაზე: იოანეს სახარების



თეოფილაქტე ბულგარელისეული განმარტებანი. განმარტებები შესრულდა XI საუკუნეში, ბიზანტიის ქართველი დედოფლის – მართა-მარიამ ბაგრატიონის დაკვეთით. თინათინ ცქიტიშვილის კვლევითა და დასკვნით თეოფილაქტე ბულგარელის განმარტებები იოანეს სახარებისათვის იოანე პეტრინის მიერ არის თარგმნილი. და ბუნებრივია, გელათის ფილოსოფიური აკადემიის სახელმძღვანელო შრომათა ძირითად ნუსხაშია გასააზრებელი. თინა ცქიტიშვილისეული ამ დასკვნით ჩვენი თვალსაზრისით, ინყება ახალი ეტაპი გელათის აკადემიის ისტორიული და მსოფლმხედველობრივი მნიშვნელობის სრულყოფილი შემცნებისათვის და გელათის აკადემია იკვეთება როგორც კერა ბიზანტიური თეოლოგიური აზროვნების შეჯამებისა და განგრძობის.

5. პავლე ინგოროვა და ქართველ ბაგრატიონთა პირველი ხსენებანი:



ქართული ისტორიოგრაფიის ერთ-ერთი უდიდესი წარმომადგენელი, ხაზგასმით არის აღსანიშნავი, ათეისტური რეჟიმის სახელმწიფო დიქტატურის წნებში მოქცეული, რეპრესირებული და საგანგებოდ გმობილი მეცნიერი, პავლე ინგოროვა, ავტორი ფუნდამენტური გამოკვლევისა: „გიორგი მერჩულე“, ბუნებრივია, ძირისძირობამდე წვდომით იმეცნებს ბაგრატიონთა დინასტიისა და დავით წინასწარმეტყველის ურთიერთმიმართების საკითხს და გამჭვირვალედ გადმოსცემს მეცნიერულ დასკვნას: „უძველესი ლიტერატურული წყაროები, სადაც გადმოცემულია ეს თქმულება ბაგრატიონთა დავით წინასწარმეტყველისაგან შთამომავლობის შესახებ, ეკუთვნის IX-X საუკუნეებს. მათ შორის მთავარია ორი:

1) ქართული – გიორგი მერჩულის თხზულება – 950 წლის (რომელსაც ჩვენ ვეხებით ჩვენებული წერილით: „გიორგი მთაწმინდელის წინასწარმეტყველება ქართველი ერის შესახებ“ დ.ს.) და

2) ბერძნული – კონსტანტინე პორფიროგენეტის თხზულება – 952 წლის. (De administrando imperio) ამას გარდა მოკლე გლოსა ამის შესახებ ჩართულია ქართული მატიანის ტექსტში, ჯუანშერის ქრონიკაში, რომელიც IX-X საუკუნეთა მიჯ-

ნას (872–907წ.) ეკუთვნის. (პავლე ინგოროვა, „გიორგი მერჩულე“, გამომცემლობა: „საბჭოთა მწერალი“, თბილისი, 1954წ. გვ. 430/-209)

პავლე ინგოროვა ქართველ ბაგრატიონთა შთამომავლობას დავით წინასწარმეტყველისაგან, როგორც ისტორიულ ფაქტს, უწოდებს „თქმულებას“, ამასთან როგორც ისტორიულ სულიერ ღირებულებას, და მოიხსენიებს „საკრალურ ფორმულად“, რომლითაც ქართველ მეფეებს თავიანთი სამეფო უფლებამოსილების ღვთაებრივი ნარმომავლობა უნდა დაემტკიცებინათ.

პავლე ინგოროვა მიიჩნევს, რომ ეს თქმულება უნდა შექმნილიყო „ქართველთა სამეფოს აღდგენის პირველ პერიოდშივე, აშოტ I დიდის დროს... აშოტ პირველი დიდის დროს შექმნილ ოპიზის ბარელიეფში, რომელიც 818 წლის ახლო დროს ეკუთვნის, ნარმოდგენილია ჯგუფი: შუაში, ტახტზე ზის ქრისტე, რომლის ერთ მხარეზე დგას აშოტ I დიდი, ოპიზის ტაძრის გამოსახულებით, ხოლო მეორე მხარეზე ნარმოდგენილია დავით წინასწარმეტყველი, როგორც წინაპარი აშოტ I-ისა და ქრისტესი, რომლის მეშვეობითაც (ე. ი. დავით წინასწარმეტყველის მეშვეობით, დ. ს.) აშოტ I ენათესავება ქრისტეს“ (იხ. პავლე ინგოროვა: „გიორგი მერჩულე“, თბილისი, 1954 – გვ. 84).

ამრიგად ამ თქმულებით ბაგრატიონები ორ პრიორიტეტულ თვისობრიობაზე აცხადებენ პრეტენზიას: ჯერ იმაზე რომ დავით წინასწარმეტყველის გზით ღვთისაგან არიან ცხებულნი, ისევე როგორც მეფენი ისრაელისანი, რასაც ბიბლია ანუ წმიდა წერილი ადასტურებს, და მეორე – იმაზედ, რომ თუ ღვთიური ცხებულებისა და შთამომავლობისანი არიან ბიბლიური დავითის გზით, მაშასადამე არიან ქრისტეს ნათესავნიც, რამდენადაც, მათეს სახარებით, თავად იქსო ქრისტეა შთამომავალი დავით წინასწარმეტყველისა. ეს გახლავთ

სიუჟეტი ბ-ნი პავლე ინგოროვას მსჯელობისა ბაგრატიონთა და დავით წინასწარმეტყველის დასაკავშირებლად შექმნილ თქმულებაზე (იქვე). ჩვენ უკვე რამდენჯერმე მიუჰთითეთ, ჩვენს სამეცნიერო შრომებში, იმის შესახებ რომ იქსო ქრისტე იმავე მათეს სახარების მიხედვით არ არის გენეტიკური შთამომავალი დავით წინასწარმეტყველისა.

რაც შეეხება წმინდა ისტორიულ-მეცნიერულ გაგებას: პავლე ინგოროვა დასკვნის სახით გვაწოდებს ფორმულირებას ბაგრატიონთა ისტორიული ნარმომავლობისას მესხეთის მხარეებიდან: „კლარჯეთის სახლიდან“, სადაც ისინი მანამ, სანამ სამეფო ტახტზე პრეტენზის გამოცხადებასთან მივიღოდნენ, გვევლინებიან როგორც „პიტიახშები“, ანუ მმართველი მთავრები მესხეთის მხარეებისა და არიან ნათესავნი საკართველოს სამეფოს ფარნავაზიანთა დინასტიისა(იქვე).

ბაგრატიონთა დინასტიის ნარმომადგენელ ქართველ მეფეთა წარმომავლობის დაკავშირებას დავით წინასწარმეტყველთან, როგორც ზემოთ უკვე აღვნიშნეთ, ქართული ისტორიოგრაფია ორი ძირითადი თხზულებით იწყებს: გიორგი მერჩულეს „გრიგოლ ხანძთელის ცხოვრებითა“, დათარილებულით 950 წლით, და ბიზანტიის სახელგანთქმული დედოფლის, მართა-მარიამ ბაგრატიონის ვაჟიშვილის, კონსტანტინე პორფიროგენეტის თხზულებით, დათარილებულით 952 წლით. გარდა ამ დასახელებული ორი თხზულებისა, პავლე ინგოროვას, ამავე წყაროებთან ერთად და ამავე წყაროებთან კავშირში, მითითებული აქვს ჯუანშერის ქართული ქრონიკაც, რომელიც, როგორც შესრულებული 872 – 907 წლებში, უფრო ადრინდელიც არის, ვიდრე დასახელებული თხზულებანი. საჭიროდ მიმაჩნია, ყურადღება გავამახვილო სწორედ ჯუანშერის ქრონიკაზე და „მატიანე ქართლისაი“-ს ცნობებზე ბაგრატიონთა შესახებ, რომლებიც წინ უსწრებენ კიდეც გიორგი მერჩულესაც და კონსტანტინე პორფიროგენეტსაც და ფაქტობრივად პირველ ხსენებასაც წარმოადგე-

ნენ ბაგრატიონებისას სწორედ საქართველოს სამეფო ტახტაზე კავშირში, საქართველოს ყველაზე ძველ მატიანეში: „ქართლის ცხოვრებაში“. მიგვაჩნია რა, რომ ქართველ ბაგრატიონთა წარმომავლობის ზუსტი განსაზღვრებისათვის გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს, თუ როგორია მათი პირველ მოხსენიება ძველ ქართულ ისტორიულ წყაროებში, ხაზგასმით უნდა აღვიშნოთ წინასწარვე, რომ ეს ჯუანშერისეული პირველხსენებანი ბაგრატიონებისა, სახეზე გვაქვს დავით წინასწარმეტყველთან მათი ნათესაობის გარეშე, რაც, ჩვენის აზრით, საკმაოდ მკვეთრად წარმოსახავს და ხსნის ბაგრატიონთა წარმომავლობის საკითხესაც და შემდგომი წყაროების მნიშვნელობასაც.

იმისათვის რომ მოვლენის არსს ჩასწვდე – გვასწავლიან დიდი ბერძენი ფილოსოფოსები – საჭიროა ამ მოვლენის საწყისა და სათავეს ჩასწვდე და შეიმეცნო, რადგან მოვლენა ამხელს და აცხადებს თავის რაობას თავისი საწყისით. საქართველოს ისტორიაში ბაგრატიონთა დინასტიის პირველ-წარმომადგენელთა პირველმოხსენიების სახით არსებობს „ქართლის ცხოვრებაში“ დაცული ორი უნიკალური ცნობა, მაუწყებელი პირველ წარმოჩენილ ბაგრატიონთა გენეტიკური ვინაობისა. პირველი ცნობა ეს არის საქართველოს მეფეთა ცხოვრების მეექვსე საუკუნის აღმნერი (ცნობა, მაუწყებელი პირველი ბაგრატიონი მეფე, ვახტანგ მეექვსის პრინციპით შემდგარ კომისიას დაუწერია მე-14-18-ე საუკუნეთა ისტორიანი და შეუტანია „ქართლის ცხოვრებაში“) (“ქ.ც.ბ.” 1. 1955, გვ.08).

გუარამ ბაგრატიონის, და მეორე – არჩილ მეფის ბაგრატიონი რძლისა – ლატავრის(მერვე საუკუნე).

სრულიად მკაფიოდ, პირველი ბაგრატიონი მეფე საქართველოს ისტორიაში, „ქართლის ცხოვრებით“, კერძოდ, ჯუანშერის მატიანით, ეს არის 39-ე მეფე ქართლისა, გუარამ ბაგრატიონი, წოდებული უკვე კუროპალატად ბიზანტიისად, დედით წარმომადგენელი ქართველთა სამეფო ტახტის წინარე დინასტიისა, ანუ ხოსროიანებისა (რომელსაც საქართველოს სახელგანთქმული მეფე, ვახტანგ გორგასალი მიეკუთვნება), ხოლო მამით - ბაგრატიონი, ანუ წარ-

მომადგენელი იმ დინასტიისა, რომელსაც იგი თავად იწყებს: ბაგრატიონთა მომავალი დინასტიის.

აქვე გავიხსენოთ, რომ „ქართლის ცხოვრება“ წარმოადგენს საისტორიო თხზულებათა კრებულს, სადაც შეტანილია ძველ ქართველ ისტორიკოსთა ის თხზულებები, რომლებიც თანმიმდევრობით მოგვითხოვთ ქართველი ერის თავგადასავალს უძველესი დროიდან მე-18-ე საუკუნემდე: გარკვეულია, რომ ისტორია ქართველი ერისა, უძველესი დროიდან მე-5-ე საუკუნემდე, „ქართლის ცხოვრებაში“ აღნერილია ლეონტი მროველის მიერ და აღნერილია ორი თხზულებით: 1) „ცხოვრება ქართველთა მეფეთა და პირველთაგანთა მამათა და ნათესავთა“ და 2) „ნინოს მიერ ქართლის მოქცევა“. ლეონტი მროველისად გადმოიცემა აგრეთვე არჩილ მეფის ცხოვრებაც. ხოლო ისტორია მე-5-ე – მე-8-ე საუკუნეებისა აღნერილია მემატიანე – ისტორიკოსის, ჯუანშერის მიერ, რომელსაც მოსდევს უცნობი ავტორის თხზულება: „მატიანე ქართლისაი“, მე-8-ე – მე-11-ე საუკუნეთა აღნერითა და გადმოცემით. მე-12-ე საუკუნეში „ქართლის ცხოვრებისათვის“ დაუმატებიათ მე-8-12-ე საუკუნეების შემცველი თხზულებები, ხოლო უფრო გვიან – მე-12-14-ე საუკუნეთა ისტორიანი. მე-18-ე საუკუნეში, მეფე ვახტანგ მეექვსის პრინციპით შემდგარ კომისიას დაუწერია მე-14-18-ე საუკუნეთა ისტორიანი და შეუტანია „ქართლის ცხოვრებაში“ (“ქ.ც.ბ.” 1. 1955, გვ.08).

„ქართლის ცხოვრება“ ძველ ქართულ ხელნაწერებზე დაყრდნობით პირველად გამოქვეყნდა ფრანგი ორიენტალისტის, მარი ბროსეს მიერ, ქართულ და ფრანგულ ენებზე, 1849 წელს, რუსეთის აკადემიის სახელით, ხოლო უფრო სრულყოფილი სახით, ყველა არსებული ხელნაწერის გათვალისწინებით, გამოქვეყნდა საუკუნის შემდგომ, 1955 წელს, აკადემიკოს სიმონ ყაუხჩიშვილის მიერ(ტ. 1.), რომელსაც ჩვენ ვეყრდნობით. ბ-ნი სიმონი განვიმარტავს, რომ „ქართლის ცხოვრება“ წარმოადგენდა საქართველოს ისტორიის სახელმძღვანელოს, რომელიც დროდადრო მემატიანეთა მი-

ერ ივსებოდა, ახლდებოდა და სწორდებოდა. თავისი თავდაპირველი სახით კი ,აკადემიკოს ივანე ჯავახიშვილის გამორკვევით, იგი უნდა შედგენილიყო მე-12-ე საუკუნეში.(„ქართლის ცხოვრება“, ტექსტი დადგენილი და გამოცემული სიმონ ყაუხებიშვილის მიერ, თბილისი, 1955 წელი, გვ. 5-8).

ბუნებრივია, „ქართლის ცხოვრების“ ხელნაწერები, ანუ ხელნაწერებში აღნერილ მოვლენათა მითითებული აღმნერნი და მასში აღნერილი ფაქტები, ქრონილოგიურად დაშორებული არიან ერთმანეთისაგან: „წიგნი ესე ქართველთა ცხოვრებისა ვიდრე ვახტანგისამდე, აღინერებოდა ჟამითი – ჟამად. ხოლო ვახტანგ მეფისაგან ვიდრე აქამომდე(იგულისხმება ცხოვრება ქართლის მეფისა – არჩილისა, ქრისტეს-თვის წამებულისა, მე-8-ე საუკუნეში, დ. ს.), აღნერა ჯუანშერ ჯუანშერიანმან, ძმისწულის ქმარმან წმინდისა არჩილისმან, ნათესავმან რევისმან, მირიანის ძისამან“ – ვკითხულობთ „ქართლის ცხოვრებაში“(იქვე, გვ. 248). მკითხველის ყურადღება გვინდა მივაპყროთ ფაქტს, რომ საქართველოს პირველი ქრისტიანი მეფის – მირიანის შთამომავალთაგანი და საქართველოს თავად პირველი წამებული მეფის – არჩილის სამეფო კარის წევრთაგანი – ჯუანშერ ჯუანშერიანი – წარმოადგენს იმ პირველ მემატიანეს „ქართლის ცხოვრებისას“, რომელსაც უხდება მემატიანის მისის შესრულება ისტორიის იმ მონაკვეთის აღსანერად, რომელშიც უნდა განხორციელდეს პირველმოხსენიება საქართველოს სამეფო კარზე ბაგრატიონთა პირველი წარმოჩენის:

„ესე გუარამ იყო დედით ხოსროიანი და მამით – ბაგრატიონი(ზოგიერთი წესით: ბაგრატიონი, ან ბაგრატიონი, დ. ს.), და ესე ბაგრატიონი შვილისშვილი და ნათესავნი არიან ამა გუარამისნი“ - ვკითხულობთ ჯუანშერის ქრისტი(ქ. ცხ. ტ. 1, თბ. 1955, გვ. 218). მემატიანისავე გადმოცემით ეს გუარამ ბაგრატიონი არის კლარჯეთისა და ჯავახეთის მთავარი, რომელიც საქართველოს სამეფო ტახტზე უფლებამოსილებას მემკვიდრეობით კი არ იღებს, არამედ მეფედ ინიშნება გარკვეული ისტორიული გარემოების გამო. ეს გარემოება გახლავთ ქრისტეს აქეთ მე-6-ე საუკუნის პოლიტი-

კური ვითარება, რომლითაც საქართველო უკვე სამი საუკუნის ქრისტიანული სახელმწიფოა და ბიზანტიის იმპერიის მფარველობაშია მოქცეული, ხოლო საქართველოს სამეფო ტახტს ბიზანტიის წარმომადგენელი განაგებს. ეს კი ქართველი მთავრების უქმაყოფილებას, ამბოხსა და შეთქმულებას იწვევს. შეთქმულება კატეგორიული მოთხოვნის ფორმას იღებს. პრინციპული მნიშვნელობა აქვს სწორედ ამ ისტორიულ მოთხოვნას ქართველი ერისკაცებისას. ხაზგასმით არის აღსანიშნავი, რომ ქართველ ერისთავთა მოთხოვნა არის უცხო წარმომავლობის მთავართა ძალაუფლების აღკვეთა საქართველოში და სამეფო ძალაუფლებისა და ხელისუფლების გადაცემა ქართველი მთავრისთვის. როგორც ვხედავთ, საქმე ეხება სწორედ გენეტიკურად ქართული წარმომავლობის მეფეს, რაც იმას ნიშნავს, რომ ბიზანტიის მფარველობაში მყოფი საქართველო ითხოვს ამ მფარველობის რეალურ შედეგს: საქართველოში, ქართველ ხალხზე, უცხოთა ბატონობის დასრულებას და ეროვნული ხელისუფლების დამკვიდრებას:”ესრეთ რა უცალო(ე. ი. ”მოუცლელი“) იქმნეს სპარსი, მაშინ შეითქმუნს ყოველი ერისთავი ქართლისანი, ზემონი და ქუემონი, და წარგზავნეს მოციქული წინაშე ბერძენთა მეფისა, და ითხოვეს, რათა უჩინოს მეფე ნათესავთაგან მეფეთა ქართლისათა, და რათა იყვნენ ერისთავნი იგი თვისთვისსა საერისთაოსა შეუცვალებელად“(ქ.ცხ. ტ. 1, 1955წ., გვ. 217).

როგორც ჯუანშერის ქრისტიაში ვკითხულობთ, გუარამ ბაგრატიონის მეფობა და არჩევანი მასზე ბერძენთა მეფისაგან, საკუთრივ მის ქართულ ნათესაობაზეა დამყარებული: ნათესავით, ანუ მოდგმით ქართველობაზე: “ითხოვეს რათა უჩინოს(=გამოუჩინოს, მან, კეისარმან ბერძენთამან, ქართველ ერისთავებს) მეფე ნათესავთაგან მეფეთა ქართლისათა“.

„მაშინ კეისარმან აღასრულა თხოვა მათი და მოსცა მეფედ დისწული მირდატისა, (ვახტანგ გორგასალის ძისა ბერძნის ცოლისაგან), რომელსა ერქუა გუარამ, რომელი მთავრობდა კლარჯეთს და ჯავახეთს“ (იქვე, გვ. 218).

ამრიგად პირველი ბაგრატიონი მეფე ქართველთა, როგორც 39-ე მეფე ქართლისა, გუარამ ბაგრატიონი, ნახევრად ხოსროიანი და ნახევრად ბაგრატიონი, მეფედ გვევლინება, როგორც კლარჯეთ-ჯავახეთის მთავარი, ამასთან ხაზგას-მით ბერძენთა კეისრის მიერ შერჩეული, როგორც ქართული წარმომავლობის დიდებული, ქართველ ერისთავთა საგანგებო მოთხოვნით: „ნათესავთაგან მეფეთა ქართლისათა“.

აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ ბერძენთა კეისარმა სრულყოფილად აღუსრულა ქართველ ერისმთავრებს მოთხოვნა, მეფის საკითხშიც და თვით მათ, ერისმთავართა უფლებამოსილების საკითხშიც: „ერისთავი ქართლისანი ვერ სცვალნა საერისთავოთაგან მათთა, რამეთუ სპარსთა მეფისაგან და ბერძენთა მეფისაგან ჰქონდეს სიგელი მკვიდრობისათვის საერისთავოთა მათთა, არამედ იყვნეს მორჩილებასა გუარამ კურაპალატისასა“ (იქვე). აღსანიშნავია, ის ფაქტიც, რომ ქართველთა მეფეთაგან „ქართლის ცხოვრებით“ სწორედ ამ პირველ ბაგრატიონ მეფეს მიენერება დაწყება მცხეთის ჯვრის მონასტრის მშენებლობისაც და თბილისის სიონის ტაძრისაც: „ამანვე გუარამ კურაპალატმან განაახლაო საფუძველი ტფილისისა სიონისა, რომელი შემდგომად ამის გუარამისა განასრულეს: ...ნახევარი – ერთმან ვინმე ქურივმან დედაკაცმან, და ნახევარი – ყოველმან ერმან, უამსა პირველის ადარნასე მთავრისასა, და იგი ადარნასეცა შეენია აღშენებასა მისასა, რამეთუ ნათესავნი მორჩმუნისა მირიან მეფისანი ყოველნი ეკლესიათა მაშენებელნი იყვნეს“ (იქვე, გვ.222).

შეიძლება დაბეჯითებით ითქვას, რომ იმ დროს, როცა გადამწყვეტი მნიშვნელობა საქართველო – ბიზანტიის ურთიერთობაში მოპოვებული აქვს ქრისტიანობას, წარმოუდგენელია და თითქმის გამორიცხულიც, საქართველოს მთავართა ესოდენ პრეტენზიული შეთქმულების პასუხად, ესოდენ საგანგებოდ შერჩეული კაცი ბერძენთა მეფის მიერ საქართველოს მეფედ, ამდენი ღვანლითა და საქვეყნი სიკეთით დახასიათებული მემატიანის მიერ, დავით წინასარმეტყველის შთამომავლი ყოფილიყო და ეს ფაქტი მას,

მემატიანეს აღნიშვნის ღირსად არ მიეჩნია. თითქმის გამორიცხულად მიგვაჩნია იმის დაშვებაც, რომ არც ბერძენთა მეფეს სცოდნოდა ეს, ანუ ქრისტიანობის მებაირახტრე ქვეყნის იმპერატორს, რომელიც ბაგრატიონი მთავრის მეფედ წარდგინებამდე უსათუოდ დაწვრილებით გამოიკითხავდა და შეისწავლიდა ქართველი მთავრებისათვის მისაღებსა და მოსაწონ კანდიდატს. და მითუმეტეს გამორიცხულად მიგვაჩნია იმის დაშვება, რომ ბერძენთა მეფეს სცოდნოდა, და ეს ინფორმაცია საგანგებო თავმოწონებით არ გადაეცა ამბოხებული ქართველი მთავრებისთვის. კიდევ უფრო წარმოუდგენელია, რომ მემატიანეს, მთავარ ინფორმატორს ქვეყნისას და ისტორიისას, ბერძენთა მეფისაგან საქართველოს მთავრებთან და სამეფო კართან ერთად ამ ინფორმაციის გარეშე დატოვებულს, არც არსაიდან სმენოდა ამის შესახებ საერთოდ რაიმე, ამბად მაინც ქრისტიანულ საქართველოში და „ქართლის ცხოვრებაში“, არ აესახა, არ დაეძრა სიტყვაც კი პირველი ბაგრატიონი მეფის პირველი მემატიანისმიერი წარდგინების დროს მკითხველისა და შთამომავლობის წინაშე, თანაც იმ დროს, როდესაც ამ წარდგინებაში საქართველოს ტახტის მფლობელ ხოსროიანთა დინასტიის უფლებამოსილების განყოფა ხდებოდა და სხვა საგვარეულოზე გადანაწილება. როგორც დავითახეთ, გარდა ქრისტიანულ ეკლესიური სამოღვანეო დამსახურებისა, მემატიანეს არც ის დაუტოვებია ხაზგაუსმელი, რომ გუარამ ბაგრატიონის ბებიად კუთვნილი, ვახტანგ გორგასალის მეუღლე, ბერძნული წარმომავლობის ქალი იყო, და წარმოუდგენელია, თავად ბაგრატიონთა წარმომავლობითი კავშირი დავით წინასარმეტყველთან, თუ კი ამგვარი რამ არსებობდა, აღნიშვნის გარეშე დაეტოვებინა. დაბეჯითებით შეიძლება განვაცხადოთ, რომ საქართველოს უძველესი ისტორიული წყაროებით, პირველი ბაგრატიონი მეფე ქართველთა, გუარამ ბაგრატიონი, გენეტიკურად ქართველი დიდებულია, კლარჯეთ-ჯავახეთის მთავარი, რომელსაც არავითარი საერთო არა აქვს დავით წინასარმეტყველთან, არც წოდებრივად და არც წარმომავლობითად.

ბაგრატიონთა ისტორიის ერთერთი თანამედროვე მკვლევარი, აკადემიკოსი ზ ა ზ ა ა ლ ე ქ ს ი ძ ე ასკვნის: „მათემატიკურად ზუსტი აღმოჩნდა სუმბატ დავითის ძის ცნობა იმის შესახებ, რომ „ეს ბაგრატიონიანი შვილისშვილი და ნათესავნი არიან მის გუარამისანნი“ –ო. („ბაგრატიონები“, თბილისი, 2002 წელი, გვ. 30). როგორც ვხედავთ, აქ ჯუანშერისა და სუმბატ დავითის ძის განმარტებანი ბაგრატიონთა ვინაობაზედ სრულიად თანხვედრილია. ქართველ ბაგრატიონთა დაკავშირებულობის ცნობა დავით წინასწარმეტყველთან „ქართლის ცხოვრებაში“ ჩნდება ბაგრატიონთა მეორედ მოხსენიების ეპიზოდში, რომელიც შეეხება ქართველთაგან ქრისტესთვის პირველ წამებული მეფის, არჩილის სარძლოს, ბაგრატიონთა გვარისას.

გუარამ ბაგრატიონის შემდგომ, მისი ძე – სტეფანე – ისევ დაუბრუნდა სპარსელებთან კავშირს და დაკარგა ბერძენთა კეისრის თანადგომა. სტეფანემ დაარღვია წმინდა სამეფო და დინასტიური ანდერძი დიდი წინაპრისა, ვახტანგ გორგასალის: „ეძიებდეთ ქრისტესთვის სიკვდილსა და ნუ მოიშლით სიყვარულსა ბერძენთასა“. ამიტომ ბიზანტიის კეისარს უკვე დასჭირდა გუარამ ბაგრატიონის არაპირდაპირი მემკვიდრის მოძიება ქართლის ტახტისათვის და მოუწოდა კიდეც ვახტანგ გორგასალის ძის, დაჩის ნათესავს, კახეთის ერისთავს – ადარნასეს და მისცა მას „ტფილისი და მთავრობა ქართლისა“ (იქვე, გვ. 225)... მაგრამ ახლა ჩვენთვის ეს არ არის მთავარი. მთავარია, აღქმა იმისა, თუ როგორ წარმოჩინდებიან გუარამ ბაგრატიონის შემდგომ, ანუ მეექვსე საუკუნის შემდგომ, საქართველოს სამეფო ტახტზე, ბაგრატიონთა ამ წარუმატებელი მემკვიდრეობის ფონზე, სხვა შთამომავალნი ბაგრატიონებისა, „ შვილისშვილი და ნათესავნი გუარამ ბაგრატიონისა“?! როგორ იწყებს ეს დიადი დინასტია არსებობას? საქართველოს სატახტო უფლებამოსილების მოპოვებას?! ვფიქრობთ, ამ თვალსაზრისით „ქართლის ცხოვრების“ სწორედ ის, ჩვენს მიერ ზემოთ მითითებული, მეორე ცნობაა მნიშვნელოვანი და საინტერესო : სრულიად ადამია-

ნური და ყოფითი, მაგრამ ისტორიულად საეტაპო ლირებულების. ჩვენ მოვიხსენიეთ იგი, როგორც ეპიზოდი არჩილ მეფის რძლის.

ისტორიის მიერ საბედისწეროდ შემონახული ამ მეორე ცნობით ბაგრატიონები ჯერ კიდევ იმდენად მოკლებულნი არიან წარჩინებულობას, რომ დედოფალი ქართლისა, მეუღლე ვახტანგ გორგასლის ჩამომავალი მეფის, არჩილისა, როგორც სადედამთილო, უკმაყოფილებას გამოთქვამს თავისი ვაჟიშვილის, ჯუანშერის მიმართ, რომელმაც ცოლად ბაგრატიონთა ქალის თხოვა გადაწყვიტა:

”ხოლო ამან ჯუანშერ შეირთო ცოლი, ნათესავი ბაგრატიონიანთა, ასული ადარნასესი, სახელით ლ ა ტ ა ვ რ ი, და ა ბ რ ა ლ ა დედამან მისმან მოყვანება მისი ცოლად: არათურე კეთილად მეცნიერ იყო, ვითარმედ არიან იგინი ნათესავნი დავით წინასწარმეტყველისანი, რომელი-იგი ხორციელად მამად ღმრთისად იწოდა. და ვითარ იხილა ძის ცოლი თვისი, შეუყვარდა, აკურთხა და დალოცა.“

როგორც ვხედავთ, დედამთილი სარძლოთი უკმაყოფილოა მის ნახვამდე, რადგან არაფერი იცის მის შესახებ, გარდა იმისა, რომ ბაგრატიონთა საგვარულოს წარმომადგენელია. ხოლო როგორც კი იხილავს პიროვნულად, იმდენად მოიხიბლება მისით, რომ უკვე დაავიზუდება მისი ბაგრატიონობაც და თავისი გულნაკულულობაც: ”ვითარ იხილაო ძის ცოლი თვისი, შეუყვარდა, აკურთხა და დალოცა“. . აღსანიშნავია, რომ ისტორია ლატავრი ბაგრატიონის პატარძლობისა ზოგი მკვლევარის აზრით ორი, ზოგისად – სამი საუკუნით ვევიან ჩანერილი ვერსიით არის ჩვენთან მოღწეული. ასე რომ არჩილ მეფის ოჯახსა, ანუ სარძლო – სადედამთილოსა , ე.ი. მერვე საუკუნის დასაწყისსა და მემატიანეს შორის სწორედ ის საუკუნეებია მოქცეული, როდესაც ბაგრატიონთა გადავითიანების, ანუ დავით წინასწარმეტყველთან შთამომავლობითი კავშირის საკრალური თეორია იქმნება ბიზანტიის ქრისტიანული მონასტრების ესოტერულ სივრცეში.

მემატიანის ჩანაწერში ორი სხვადასხვა გაგების ფაქტია გაერთიანებული: ერთი – თავად ისტორიული რეალობისა და მეორე – ამ რეალობის აღმნერი და გადმომცემი მემატიანისეული პოზიციის... მემატიანის დროს ბაგრატიონების გადავითიანება უკვე მომხდარია. მემატიანისთვის ის უკვე ყოველთვის არსებული რეალობაა. ამიტომ ბაგრატიონი რძლის დაწუნება მისი საგვარეულო წარმომავლობის ხარისხით და შეუფერებლობა ქართლის სამეფო ოჯახისათვის, მემატიანემ უნდა ახსნას, რაღათქმაუნდა, ბაგრატიონთა დავითიანობის სასარგებლოდ, და, შესაძლოა სრულიად უნებურადაც და გაუანალიზებლადაც, იძულებულია, დედოფალს, იმ დროისათვის ჯერ არარსებული რეალობის უცოდინრობა დააბრალოს. მაგრამ ეს ისეთი უცოდინრობაა დედოფლისა, რომელიც უკამათოდ მოიცავს არჩილ მეფის მთელი ოჯახის უცოდინრობასაც, რადგან, საკმარისი იყო დედოფალს ეს ინფორმაცია ოჯახის რომელიმე წევრისგან მიეღო, რომ ეს გვარით დაწუნების ეპიზოდი სარძლოსი, აღარ იარსებებდა. ფაქტია, სანამ დედოფლის უკმაყოფილება თავისი შეხვედრით არ წამალა თავად ბაგრატიონმა სარძლომ, მანამ ხომ ვერც მეფემ და ვერც ვაჟიშვილმა, და ვერც ოჯახის სხვა წევრებმა ვერ შეიყვანეს იგი საქმის კურსში?! მაგრამ თუ იმასაც გავითვალისწინებთ, როგორ ოჯახზე გამოვაქვს უცოდინრობის განაჩენი, ვფიქრობ, საკმაოდ დიდად შევცოდავთ მათ წინაშეცა და უფლის წინაშეც: ქართლის მეფის, არჩილის ოჯახი, განსაკუთრებული ქრისტიანული სულისკვეთების ოჯახია. მეფე არჩილი მეფობაზეც იტყვის უარს, მაგრამ ქრისტეს უარყოფას არ დაუშვებს და მტრის ხელით თავის მოკვეთას ირჩევს. იგი პირველი წამებული მეფეა საქართველოს ისტორიაში. არჩილის ქალიშვილი, შუმანი, დაი იმ ჯუანშერისა, რომელიც ლატავრი ბაგრატიონს ირთავს ცოლად, ხაზართა მეფის დავალებით, ხაზართა სადედოფლოდ გატაცებული ამ ძმასთან ერთად, არაქრისტიანი სამეფოს დედოფლობას სიკვდილს ამჯობინებს, ბეჭდით შენახულ სანამლავს ამოსწოვს გზაში და თავს იკლავს, რათა ქრისტიანი ჩაბარდეს უფალს თავისი ძმის, ჯუანშერის თვალწინ.

ძნელი დასაჯერებელია, რომ ასეთმა სამეფო ოჯახმა არ იცოდეს საქართველოს ერთეულთი სამთავროს ბაგრატიონ მთავართა ნათესაობა ბიბლიურ დავით მეფესთან, როგორც „ქრისტეს ხორციელ მამასთან“, როგორც ამას გადმოგვცემენ ქართველი მემატიანენი. ცხადია, აქ კვლავ ვლინდება ის ჭეშმარიტება, რომ ჯერ კიდევ მე-8-ე საუკუნის დასაწყისია და „თქმულება“ თუ „თეორია“ ბაგრატიონთა წოდებისა დავით წინასწარმეტყველის შთამომავლებად, ჯერ კიდევ ჩამოუყალიბებელია და გაუვრცელებელი. სწორედ ამ ჩამოუყალიბებლობისა და გაუვრცელებლობის ასახვაა ქართლის დედოფლისმიერი უკმაყოფილება თავისი მომავალი რძლის ბაგრატიონობის გამო, და ილუსტრაცია იმისა, რომ ჯერ კიდევ მე-8-ე საუკუნის დასაწყისში, ბაგრატიონები არაფრით არ არიან განსაკუთრებულად წარჩინებულნი. მათი პოლიტიკური აღზევება საქართველოს სამეფო ტახტზე და ქართველი ერის სულიერი მისის ჩამოყალიბება თითქმის ერთდროულად მიმდინარეობს, და ჰქმნის გარდუვალ ეპოქალურ საჭიროებას ბაგრატიონთა სამეფო ტიტულატურის შემოსვისას ქრისტიანობის წინამდლოლი ქვეყნის მესიანისტური წოდებით, ისევე, როგორც ეს მოხდა იესო ქრისტეს, როგორც კაცობრიობის მხსნელის მიმართ. საკმარისია, გავიხსენოთ თუნდაც ერთი, სახარებით გადმოცემული გულისშემძრელი არგუმენტი იესო ქრისტეს ცხოვრებიდან, ჯვარზე გაკრული იესო ქრისტეს უკანასკნელი სიტყვები; „ელი, ელი, ლაშა საბაქთანი?!“ – „უფალო, უფალო, რაისათვის დამიტევებ მეუმნეოდ?!“ – წარმოთქმული, როგორც ცნობილია, არამეულ ენაზე*, რომ გავრცელებული აზრი იესო ქრისტეს ებრაელობისა, ნაცრად იქცეს; ფსიქოლოგიურად დაუშვებელია ადამიანმა სხვის ენაზე მიმართოს უფალს, (რომლისათვისაც ყველა ადამიანური ენაა გასაგები და მითუმეტეს იესო ქრისტესაგან, ძისაგან ღვთისა!), თავისი უკანასკნელი სათქმელი-

* მათე 27,46 (მარკოზა 15,34). „არამეული „საბაქთანი“ წიშნავს „მიტოვებასაც“ და „უბედურებაში“ უმნეოდ მიტოვებასაც“, წერს ბიბლიის ცნობილი განმეორებელი ა.პ. ლოპუხინი.

სათვის, უკანასკნელი ამოსუნთქვის წინ. ქრისტეს მშობლიური ენაც, ანუ დედისგან ნასწავლი ენაც, იგივ დედა ენაც და დედა ღვთისმშობლის ენაც არამეულია. არამეული ენა იგივ ქალდეველების ენაა. იესო ქრისტე არამეული ცნობიერების წარმომადგენელია. ამის შესახებ ჩვენ საგანგებო მოხსენება გავაკეთეთ ბიზანტინოლოგთა საერთაშორისო კონგრესზე, პარიზში, 2001 წელს, სადაც ჩვენ, ვფიქრობ, პირველად მსოფლიო მეცნიერებაში, განვაცხადეთ, რომ ქრისტიანობა ეს არის ქალდეური ცნობიერების ამოხეთქვა იუდეაში, ამასთან ჩვენ განვაცხადეთ ეს „ქალდეურის“, როგორც ცნების ახალი დატვირთვითა და შინაარსით: „ქალდეურის“, როგორც უძველესი ქართული ცივილიზაციის გაგებით.

ქრისტეს მოვლინებით, ქრისტიანული მოძღვრების მოვლინებით, კაცობრიობის რელიგიურ-მსოფლმხედველობრივ ისტორიაში, რომელიც ბიბლიური სიუჟეტით ქალდეურ ცნობიერებასთან დაპირისპირებული ებრაული ცნობიერების ისტორიად არის გადმოცემული, ხორციელდება რევანში ქალდეური ცივილიზაციისა ებრაულ ცივილიზაციაზე და დამარხული ქალდეური სიბრძნის ებრაულ სიბრძნეზე ამაღლება ჭეშმარიტების სახელით (ჩვენი მოხსენება ქართულ ენაზე უკვე მესამედ გამოქვეყნდა, მაგრამ სამწუხაროდ, ძალიან მცირეტირაჟიან უურნალსა და გაზეთებში: „ერის ლირსება“, „ქართველოლოგია“, „ქალდეა“).

იესო ქრისტეს შემოსვამ „დავითიანობის“ ტიტულით, გამოიწვია მისი ებრაელად გაგება, და მისი ებრაელობის დამკვიდრება თვით პავლე მოციქულის მიერ, ისევე, როგორც ეს მოხდა ბაგრატიონების შემთხვევაში, მაშინ როდესაც ამ ტიტულს თავისი ისტორიოსოფიური დანიშნულება ჰქონდა, და არა პირდაპირი. ახალი ქრისტიანული რელიგიის დამკვიდრებას ფსიქოლოგიურად სჭირდებოდა ადამიანთათვის რჩმენად და კანონად ქცეული ეპოქალური საყრდენები, რომლებიც ძველი აღთქმისეული წინასწარმეტყველებიდან მოდიოდა და რომლის გვერდის ავლაც შეუძლებელი იყო.. ამ რჩმენით კაცობრიობის მხსნელი შეიძლებოდა და უნდა მოვლენილიყო მხოლოდ ბიბლიური დავითის მოდგმიდან, ანუ

მხსნელი „დავითიანი“ უნდა ყოფილიყო. ამიტომ იესო ქრისტეც და ქართველი ბაგრატიონებიც, იღებენ ამ წოდებას, როგორც კაცობრიობის ისტორიის იმ ეპოქის შვილები. წომელშიაც ისინი იქნენ მოვლინებულნი უფლის მიერ. სახარება საგანგებოდ გვაუწყებს იესო ქრისტეს დამოკიდებულებას თავისი წოდებისადმი: ანუ თავისი „დავითიანობისადმი“ (მათე, 22,45), დამოკიდებულებას იდუმალსა და არაერთმნიშვნელოვანს, იდუმალსა და უარმყოფელს, ხოლო ბაგრატიონები, ზოგნი გაცნობიერებულად, ზოგნი გაუცნობიერებლად მატარებელნი ამ წოდებისა, მხოლოდ დავით აღმაშენებლის დიდ გონებაში შესძლებენ თავისი ნამდვილი პოზიციის გამხელას, შესძლებენ მაშინ, როდესაც დავით აღმაშენებელი თავის აღმსარებლურ სავედრებელში იტყვის: „ისრაელისა მეფეთა ვჰბაძევდ, გარნა ურჯულოთა...“ და „ვაცოდვე მე ერი ჩემი, ვითარცა მეფეთა მათ –ისრაელი“ – ო („გალობანი სინანულისანი“). ცხადია, აქ დავით აღმაშენებლისათვის, როგორც ბაგრატიონთა დინასტიის წარმომადგენელი ქართველი მეფისათვის უკვე ვეღარ იძებნება ადგილი ბიბლიურ ურჯულო მეფეთაგან შთამომავლობით თავმოწონებისა და სიამაყის.

ჩვენ ზემოთ აღვნიშნეთ, რომ ქართულ ისტორიოგრაფიულ ცნობიერებაში ქართველთა სამეფო დინასტიის დაკავშირება ებრაელთა ბიბლიური მეფის – დავით წინასწარმეტყველის სახელთან, ქართველ მეფეთა ღვთაებრივი წარმომავლობის იდეას უმსახურებოდა. ტრადიცია მეფეთა ღვთაებრივი წარმომავლობისა საყოველთაოდ ცნობილი კაცობრიული ტრადიციაა, რომელიც მეფობის დასაწყისიდან ჩვენ დორმდე აღწევს. ქართული ცნობიერების რუსთველური განაცხადი: „რომელმან შექმნა სამყარო ძალითა მით ძლიერითა მისგან არს ყოვლი ხელმწიფე, სახითა მის მიერითა“ ამ ტრადიციის ბრწყინვალე და უზოგადესი ფორმულირებაა. ცხადია, გიორგი მთაწმინდელისეული წინასწარმეტყველების ჭრილში, ქართველი ერის განჭვრეტის ჭრილში კაცობრიობის ახალ ერად, ეს განლმრთობა საქართველოს

სამეფო ტახტის მპყრობელი ბაგრატიონებისა, უფრო სიღ-
რმისეულსა და საიდუმლო მნიშვნელობას იძენს: ამ წოდებით
საქართველოს მეფენი, თავად საქართველოს და ქართველი
ერის სიმბოლურ განსახიერებად გვევლინებიან, რომელთაც
ერის სახელით პიროვნულად უნდა მიიღონ მესიანისტური
წოდება ერისა „დავითიანობის“ ფორმით, ანუ წოდება ჩამო-
მავლობისა დავით წინასწარმეტყველისაგან. ტრადიციებს
თავთავიანთი ეპოქალური სახეები აქვთ, ღვთიურობის გაგე-
ბის ეპოქალური შინაარსები: სად და როდის, როგორ ესმის
ხალხს ღვთიურობა და წარმომავლობა ღვთისაგან. მაგრამ
ყოველივე ამას ჩვენის მხრიდან უნდა დავუმატოთ ერთი
ძალზედ შესამჩნევი, სრულიად ირაკიონალური და მისტიუ-
რი იმპულსი, რომელიც თან ახლავს ბაგრატიონთა გადავი-
თიანების მთელ ქართულ ისტორიას და, რომელიც, შესაძ-
ლოა, ერთგვარად ხელს უწყობს კიდეც ამ ეროვნულ – მესია-
ნისტური იდეის ამგვარი ფორმულირებით, „დავითიანობის“
ფორმულირებით დანერგვასაც.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, პირველივე მოხსენიება ბაგ-
რატიონებისა „ქართლის ცხოვრებაში“ ეს არის ხორციელი
ნათესაობის ძიება ქრისტესთან, ანუ მიზანი ქართველი მემა-
ტიანისა არის არა დავით წინასწარმეტყველი და ნათესაობა
მასთან, არამედ ნათესაობა ქართული გენისა, ამ შემთხვევა-
ში სამეფო დინასტიისა, ქრისტესთან. კიდევ ერთხელ გავიხ-
სენოთ ჯუანშერის ქრონიკა და ჩვენს მიერ ზემოთ მოხმობი-
ლი ფრაგმენტი ბაგრატიონთა პირველმოხსენიებისა „ქარ-
თლის ცხოვრებაში“: „ამან ჯუანშერ შეირთო ცოლი ნათესა-
ვი ბაგრატიონიანთა, ასული ადარნასესი, სახელით ლატავრი,
და აბრალა დედამან მისმან მოყვანება მისი ცოლად: არათუ-
რე კეთილად მეცნიერ იყო, ვითარმედ არიან იგინი ნათესავ-
ნი წინასწარმეტყველისანი, რომელი – იგი ს ო რ ც ი ე ლ ა დ
მ ა მ ა დ ლ მ რ თ ი ს ა დ ინოდა და ვითარ იხილა ძის ცოლი
თვისი, შეუყვარდა, აკურთხა და დაალოცა.“. ვინ იგულისხმე-
ბა აქ „ღმერთის ხორციელ მამად“? რომელ ღმერთს შეიძლე-
ბა ჰყავდეს „ხორციელი მამა“? ცხადია, ეს არის ღმერთი და
უფალი ჩვენი – იესო ქრისტე, რომელიც, სრულიად კანონი-

კურად, ერთდროულად არის „ქალწულისაგან შობილიც“,
ანუ „უმამოდ შობილიც“ და „ძედ დავითისადაც“ წოდებული,
ანუ „ძედ დავით წინასწარმეტყველისად“. გავიხსენოთ: „წიგ-
ნი შობისა იესო ქრისტესი, ძისა დავითისა, ძისა აპრაამი-
სა...“ (მათე, 1,1). ძედ უთვილება, ანუ „ძეობა“ იესო ქრის-
ტესი, დავითისაგან, ცხადია, აქ შთამომავლისა და მოდგმი-
სობის მნიშვნელობით არის თქმული.

იესო ქრისტე, წოდებული „ძედ დავითისად“ ჰქმნის და-
ვით წინასწარმეტყველის წოდებას: „მამას ღმერთისას“. ქარ-
თული ცნობიერებისათვის ეს იმდენად მიმზიდველია და ბუ-
ნებრივი, რომ არანაირ წინააღმდეგობას არ ჰბადებს მასში,
რადგან ბაგრატიონები, დავითის შთამომავლებად წოდე-
ბულნი, ხდებიან ქრისტეს ხორციელ მამასთან ხორციელად
დანათესავებულნი, მართალია, ხდებიან დავითის გზით, მაგ-
რამ ეს არ არის მთავარი! მთავარია, რომ თავიანთ რელიგი-
ურ განცდაში ქრისტეს ნათესავები ხდებიან. ემოციური
დატვირთვა აზრისა აქ ქრისტეზეა. აქ ქრისტეა ქართული
შეგნებისთვის მთავარი და არა დავითი! ამიტომ ამ წოდებას
ჩვენს მიერ ზემოთ ხმობილი „ქართლის ცხოვრების“ მემატი-
ანე სიხარულით გადმოსცემს: „არათურე კეთილად მეცნიე-
რი იყო (დედოფალი ქართლისა), ვითარმედ არიან იგინი(ბაგ-
რატიონები) ნათესავნი წინასწარმეტყველისანი, რომელი იგი
ხორციელად მამად ღმრთისად იწოდა...“ -ო. მემატიანისათ-
ვის ეს სარწმუნოებრივი სიხარულის მომნიჭებელი აზრი, სა-
იდუმლო , მესიანისტური ჩანაფიქრიდან მომდინარი და გარ-
დასახული უმარტივეს მიწიერ გაგებად ქართველი მეფების
სისხლ-ხორცეული წარმომავლობისად დავით წინასწარმეტ-
ყველისაგან, აშკარად იქცევა ქართულ ცნობიერებაში რა-
ღაც რელიგიურ – რომანტიული და ქრისტიანულ-ეკლესიური
გატაცების საგნად, და ეს გატაცება ქართული ცნობიერები-
სა ქრისტესთან ნათესაობით იქამდისაც კი მიდის, რომ მემა-
ტიანენი, უკვე გონებადაკარგულებივით იწყებენ თავმომწო-
ნებას დავით წინასწარმეტყველის არც მაინცადამაინც გა-
სახსენებელი და სახარპიელო განეტიკური ფესვებითაც, ამასთან გაიგივებულით ქრისტესათვისაც და თავიანთი ბაგ-

რატიონი მეფეებისათვისაც. აქ მხედველობაში გვაქვს „ქართლის ცხოვრების“ შესავალი, რომელიც, ჩვენის აზრით, როგორც შესავალი, ვიმეორებთ, როგორც შესავალი „ქართლის ცხოვრებისა“, აშკარად უნდა გააზრებულიყო ქართველ ბაგრატიონ მეფეთა გადავითიანების თეორიის შექმნის შემდეგ, ამასთან „ქართლის ცხოვრების“ ბიბლიასთან მიმსგავსების მიზნით.

ჩვენ ზემოთ აღვნიშნეთ, რომ „ქართველი ერის ისტორიის“ მრავალტომეულის ავტორის, ივანე ჯავახიშვილის გამორკვევით ქართველი ერის პირველი დიდი ისტორია – „ქართლის ცხოვრება“ – უნდა შექმნილიყო მე-12 საუკუნეში. ბუნებრივია, მე-12 საუკუნე ქართველი ერის ცხოვრებაში ისეთი ერაა, რომლის დროსაც ეროვნული მეობა ზენიტშია ასული და ამ ღვთითბოძებული რეალობის დოკუმენტურ დასტურსა და იდენტიფიკაციას ითხოვს, ანუ ამ ეროვნული მეობის, ერის ვინაობის იმ ისტორიას, რომელშიც აწმყო ასახული იქნება როგორც დადასტურებული შედეგი წარსულისა. მე-12 საუკუნის ქართული ცნობიერება ამ აუცილებლობის განხორციელებას იწყებს: პირველ რიგში თავს უყრის ყველა არსებულ ისტორიულ ქრონიკას ქართველთა ცხოვრებისას და ბუნებრივია, დღის წესრიგში აყენებს საკუთარი დიადი მეფეების ცხოვრებათა ღირსეულ აღნერასაც. რამდენადაც დღის წესრიგში დგას ქართველი ერის, როგორც ახალი ერის ისტორიის ჩვენება და დოკუმენტირება, ლოგიკურია, კაცობრიობის ისტორიის ორგანულ ნაწილად განცდილი საქართველოს ისტორია ერთდროულად იყოს ქართველი ერის ისტორიაც და კაცობრიობის ისტორიის განვრძობაც, ანუ განვრძობა იმ წმინდა წიგნისა, რომელიც კაცობრიობის ისტორიის ქრისტიენინარე წიგნად მოიაზრება ქრისტიანულ სამყაროში. ეს კი იმას წიმნავს რომ მე-12 საუკუნეში შექმნილი საქართველოს ისტორიის წიგნი ბიბლიის განვრძობაც უნდა იყოს და თავისთავად ახალი ბიბლიაც, ისევე, როგორც გელათის აკადემია უნდა იქცეს „სხუად ათინად და მეორედ იერუსალიმად“. ბიბლია, როგორც მოდელი და ეტალონი ერთი ერის ისტორიის ასახვისა, როგორც პრეცენდენტი ერის ისტორიის

წარდგინებისა წმინდა წიგნად, სტრუქტურულად უნდა მოიცავდეს სამყაროს შექმნის ისტორიას, ადამიანის შექმნის ისტორიასა და კაცობრიობის ისტორიას, რომლის სივრცეშიც განთავსდება ერთი კონკრეტული ერის ისტორია. მე-12 საუკუნეში საქართველოს მეფეთა ცხოვრებანი დაწერილია. სამყაროს და ადამიანის შექმნის ისტორიას კი, ამასთან ქრისტიანული ხედვით დაწერილს, ანუ იმას, რაც თვითონ უნდა შექმნას, ქართული ცნობიერება საქრიტიანოში სახელ განთქმული ეკლესის დიდი მამის – ეფრემ ასურის თხზულებაში დაინახავს – ეფრემ ასურისეულ „შესაქმის“ წიგნში: „შესაქმისათვის ცისა და ქუეყანისა და ადამისათვის“, და ქართველ მემატიანეთა დაწერილ მეფეთა ცხოვრებას წარუმდლვარებს წინ, ცხადია, გადმოქართულებული ვერსიით. სწორედ ეს გახლავთ საქართველოს პირველი დიდი ისტორიის – „ქართლის ცხოვრების“ – შესავალი, როგორც ამას აკადემიკოსი სიმონ ყაუხებიშვილი უწოდებს და რომელიც ჯერ კიდევ სათანადოდ შესწავლილი არ არის.

ეფრემ ასური, ქადაგი, ორატორი, პოეტი და, რაც მთავარია, ბიბლიის განმმარტებელი, როგორც მისი მკვლევარი, პროფესორი ბარსოვი წერს, თავისი განსწავლულობით აკვირვებდათ თვით ბასილი დიდსაც კი, ეკლესის უპირველეს ავტორიტეტს ღვთისმეტყველ მამათა შორის, მაგრამ უნდა აღვნიშნოთ ისიც, რომ მასში, ეფრემ ასურში, უფრო დიდი იყო მორწმუნე-პოეტი, ვინემ მოაზროვნე. ჩვენ ვფიქრობთ, რომ ეფრემ ასურისეული განმარტებანი ბიბლიის შესაქმის წიგნისა უსათუოდ ავსებს ბასილი დიდის „ექუსთა დღეთაის“ განმარტებებს, და საერთოდ ეკლესის მამათა ეგზიგეტიკური მოძღვრების წარმოჩენა ეფრემ ასურის გარეშე, ნამდვილად არ ეგების, მაგრამ ამჯერად, მისი ამ მოკლე დახასიათების ფონზე, ჩვენ გვინდა ეფრემ ასურისეულ მსოფლხედვაში გამოვკვეთოთ ის მთავარი და თვალში საცემი მიზეზი, რაც ყველაზე მეტად განაპირობებს ქართული აზროვნების მიზიდულობას ეფრემ ასურისეული ამ დასახელებული თხზულებაში, სახეზე გვაქვს არა მხოლოდ ქრისტიანული ვერსია სამყაროს

შექმნისა, რომელშიაც სამყაროს შემოქმედად ერთპიროვანი მამა ღმერთის ნაცვლად წმიდა სამებაა ნარმოჩენილი, არა-მედ სახეზე გვაქვს მთელი ბიბლიური მონახაზი ებრაელი ერის ისტორიისა, გამიზნულად იესო ქრისტეს ხორციელი მა-მის – დავით წინასწარმეტყველის გენეალოგიის დეტალური ჩვენებით.

„თქმული(სა) წმიდისა მამისა ჩუენისა ეფრემისი თარ-გმანი: „დაბადებისათვის ცისა და ქუეყანისა, და ადამისათ-ვის, და ვითარ ვპპოვეთ ნათესაობა ქრისტესი ხორცითა, ვი-თარცა წერილ არს სახარებასა ლუკას თავსა, ადამისითვან ყოველთა მამათა ვიდრე ქრისტემდე, უფლისა და ღ“თისა ჩუ-ენისა“. („ქართლის ცხოვრება“, 1955წ. სიმონ ყაუხეჩიშვილის რედაქციით, გვ. 011; „ქართლის ცხოვრება“, 1906 წ. ექვთიმე თაყაიშვილის რედაქციით, გვ. 786, „ქართლის ცხოვრება“, საქ. მეცნ. აკად. 2008 წელი, როინ მეტრეველის რედაქციით).

როგორც ვხედავთ, „ქართლის ცხოვრების“ ამ შესავა-ლი თხზულების სათაურშივე სახეზეა ორი მთავარი პრობ-ლემა: 1) „....დაბადებისათვის ცისა და ქუეყანისა და ადამი-სათვის, და 2)ვითარ ვპოვეთ ნათესაობა ქრისტესი ხორციე-ლად“.... ავტორი-მემატიანე იზიარებს რა აზრს ქრისტეს ნა-თესაობისას დავით წინასწარმეტყველთან, დაკანონებულს მათეს სახარებით („ნიგნი შობისა იესო ქრისტესი, ძისა და-ვითისა, ძისა აბრაამისა...“ (მათ 1,1) და ა. შ.), როგორც ჩანს იძლევა სრულიად საკუთრივ ქართულ ვერსიას ეფრემ ასუ-რის თხზულებისას და სიღრმისეულად შეგვახსენებს ბიბლი-ურ გენეალოგიას დავით წინასწარმეტყველისას, რომელიც, როგორც „მამა ღმრთისა“, რომელსაც ენათესავებიან ქარ-თველთა ბაგრატიონი მეფეები, აერთიანებს იესო ქრისტეს და ქართველ ბაგრატიონთა ისტორიულ გენეალოგიებს. ქარ-თველი რედაქტორის გატაცება ბაგრატიონთა ნათესაობით „ღმერთის მამასთან“ იქამდე მიდის, რომ ისინი ქრისტესთან ერთად აღმოჩნდებიან შთამომავალი არა მხოლოდ დავით წინასწარმეტყველისა, არამედ თავად დავითის წინაპრები-საც (და ეს ბუნებრივია და ლოგიკური!), ხოლო ჩვენ იძულე-ბული ვხდებით მასთან, მემატიანესთან ერთად ვაღიაროთ,

რომ დავით წინასწარმეტყველის გენეალოგიური ხაზი აერ-თიანებს ეპრაელთა პირველი მამამთავრის–აბრაამისა და მი-სი ძმისწულის – ლოტის ხაზს, ანუ იმ მოდგმას ლოტისას, რომელიც ლოტის ორმა ქალიშვილმა, იმის გამო, რომ სხვა გზა მემკვიდრეების გაჩენისა არ ჰქონდათ, როგორც ბიბლია გადმოგვცემს, საკუთარი მამა დაათვრეს, და იქმრეს. ბიბლია გადმოგვცემს იმასაც, რომ ლოტის ქალიშვილების ამ ორ მოდგმას, ყამონიანებსა და მოაბელებს, ისევე, როგორც მემ-კვიდრეობის უნარწართმეულ საჭურისებს, ღმერთისაგან დასჯილად მიჩნეულებს, რჯულით, აკრძალული ჰქონდათ ტაძარში – სადღესასწაულო კარავში – უფ ლის წინაშე წარ-დგინება (2 რჯ. 23,1-2). ავტორიცა და რედაქტორიც „ქარ-თლის ცხოვრების“ შესავალი ნაწილისა („შესაქმისათვის ცი-სა და ქუეყანისა და ადამისათვის, და თუ ვითარ ვპპოვეთ ნა-თესაობა ქრისტესი...“) დავით წინასწარმეტყველის გენეა-ლოგიაში წამოსწევენ ანგელოზთა მფარველი „ლოტი მართა-ლის“ არსებობას, და გვეტყვიან: „ეწოდა მას ლოთ მართალი. და არა შეურაცხა ღმერთმან ცოდვად, რამეთუ უმეცრებით დაწვა ასულთა თვისთა თანა.....და იყვნეს მეფენი თესლისა-გან ლოთისა და ამათ ორთა ნათესავთაგან იშვა ქრისტე...“ („ქართლის ცხოვრება“, 1906 წ. ექვთიმე თაყაიშვილის გამო-ცემა, გვ.689, 2008 წელი. საქ. მეცნ. აკადემიის გამოცემა. როინ მეტრეველის რედაქციით) . ეჭვი არ არის, რომ იესო ქრისტემ ეფრემ ასურზე ნაკლებ არ იცოდა დავით წინასწარ-მეტყველის გენეალოგიური ხაზი, მაერთიანებელი აბრაამისა და ლოტის მოდგმებისა, როდესაც ფარისეველ – სადუკევ-ლებს მიმართა კითხვით; „რას ამბობენ, ვისი ძე ვარო მე?“ ხოლო როდესაც უპასუხეს: „დავითისა“-ო, იესო ქრისტემ საპროტესტო შეკითხვა დაუსვა მათ; „თუ ძე ვარ დავითისა, მაშ როგორდა ვარ მე უფალი დავითისა? „ და ამის შემდეგ სადუკეველნი ველარანაირ შედავებას ველარ უბედავდნენო იესო ქრისტეს, – გადმოგვცემს მახარობელი (მათე, 22,45).

საოცარია და ყველა ამ ინფორმაციის ერთად მფლობე-ლი და გადმომცემია მათე მახარობელი: იმისიც, რომ იესო ქრისტე არის ძე დავითისა და ძე აბრაამისა, იმისიც რომ იე-

სო ქრისტე არის ქალწულისაგან შობილი, და იმისიც, რომ თავად იესო ქრისტე მიზანმიმართულად, ელდსავით კითხვას სვამს სადუკეველთა მიმართ, თუ ვისი ძეა იგი – იესო ქრისტე – და ფარისეველ-სადუკეველთაგან წოდებულ „დავითის ძეობას“, თუ უარყოფისა არა, რაღაც დიდი ქვეტექსტის, შეუცნობლობისა და იდუმალების სამოსში უსათუოდ სტოვებს მათვის, ვისთვისაც მისი კატეგორიული უარყოფა გაუგებარი, ან მიუღებელია. ჭეშმარიტების გადატანას კი ამ მრავალმნიშვნელოვან ქვეტექსტში ეპოქისეული განწყობის ტალღა წაიღებს საკმაოდ შორს და აქცევს რაღაც მწვანე შუქად „დავითის ძეობის“ ატაცებისათვის ეკლესის მამათა მიერ. რომელთაც ძველ აღთქმაში უნდა ამოკითხონ მოვლინება იესო ქრისტესი. ამის ილუსტრაციაა სწორედ ეფრემ ასურიც, რომელიც იესო ქრისტეს დავითის ძეობაში ჩაღრმავებით იქამდე მიდის, რომ იესო ქრისტეს ადამიანურ მოვლინებას კაცობრიობისათვის წარმოაჩენს აბრაამისა და ლოტის ერთიანი მოდგმის შვილად და მის „დავითიანობას“, „აბრაამიან – ლოტიანობასაც“ – შეჰმატებს ღირსებად. და წარმოვიდგინოთ, ეფრემ ასურთან შედარებით, რაოდენ უფრო საფუძვლიანი შეიძლებოდა ყოფილიყო დავით წინასწარმეტყველის გენეალოგით გატაცება ქართველი მემატიანისათვის, როდესაც იგი არა მხოლოდ იესო ქრისტესთვის დაკანონებული დავითიანობის მაღიარებლად მიიჩნევდა თავს, არამედ უშუალოდ დავით წინასწარმეტყველის შთამომავლად გაგებულ საქართველოს ბაგრატიონ მეფეთა ღვთივ კურთხეულ აღმწერადაც, ანუ „დავითიან“, „ალექსანდრიან“ და „აფროდიტიან“ მეფეთა მეხოტებედა და მემატიანედ. დავით წინასწარმეტყველთან, ალექსანდრე მაკედონელთან და აღნაგობის მშვენიერებით ქალღმერთ აფროდიტესთანაც კი მიდარებულ ბაგრატიონ მეფეთა ვინაობას ისტორიის დინებაში დასჭირდა განმარტება და დაზუტებული ფორმულირება თავისი სამეფო ტიტულისა – „დავითიანის“ – და იქცა „იესიან – დავითიან-სოლომონიან– ბაგრატოვანთა“ წოდებულებად. თუ ეფრემ ასურმა დავით წინასწარმეტყველის, როგორც „ღმერთის მამის“ გენეალოგია აბრაამიდან და ლოტიდან დაიწყო

და დეტალურად დაასურათხატა ქრისტემდე, ქართველმა მემატიანემ ისეთი დიდი ბაგრატიონისამ, როგორიც დავით აღმაშენებელია, მთელი ეს გენეალოგია უნდა გაშიფროს და მოიყვანოს დავით აღმაშენებლამდე!

და გასაკვირი არ არის, რომ მან, დავით აღმაშენებლის მემატიანემ, ეფრემ ასურისეული თხზულების კვალზე, რომელიც ამ დროისათვის უკვე ქრისტიანულ სარწმუნოებრივი ტრადიციის კუთვნილებაა, და ალბათ უკვე „ქართლის ცხოვრების“ დასაწყისადაც არის მოაზრებული, იმდენად მოიწონოს თავი ბაგრატიონთა ნათესაობით ქრისტესთან, რომ ბეჯითად გაჰყვეს ამ ტრადიციას და მათე მახარობლის მიბაძვით შეუდგეს გამოანგარიშებასაც, თუ რომელი თაობაა დავით წინასწარმეტყველის შემდგომ იგი, დიდი მეფე საქართველოსი და „მახვილი მესიისა“, დავით აღმაშენებელი, ქრისტესამებრ „ძედ დავითისად“ წოდებული, როგორც წარმომადგენელი და ბრწყინვალება ბაგრატიონთა დინასტიისა?! და ასეც ხდება:

„ამიერითგან იწყეს ნიავთა ცხოვრებისათა მოპერვად და ღრუბელთა მაცხოვარებისათა აღმოფვირობად, ვინათგან... ბნელსა უკუნსა შინა იწყო აღმოცისკრებად მზემან ყოველთა მეფობათამან, დიდმან სახელითა და უდიდესმან საქმითა, ს ა ხ ლ მ ო დ გ მ ა მ ა ნ დ ა ვ ი თ, ღ მ ე რ თ ი ს ა მ ა მ ი ს ა მ ა ნ, და თვით სამეოცდა მეათვრამეტემან შვილმან ამის დავითისმან, დავით“. როგორც ვხედავთ, აქაც კვლავ სახეზეა იგივე ფორმულირება დავით წინასწარმეტყველის ვინაობისა: იგი არის მამა ღმერთისა, ანუ უფლისა ჩუენისა იესო ქრისტესი. ეს არის ამოსავალი ყველაფრისა! როგორ გამოთვალი ჩვენმა მემატიანემ 78, ცალკე საკითხია, მაგრამ მკვლევართაგან აღიარებულია ერთი რამ: აბრაამის მოდგმათა ჩამონათვალი რომ ნუმეროლოგიურად გაემართათ და 14–14 თაობად დაეყოთ ქრისტემდე, უამრავი, რეალურად არსებული თაობების ამოყრა მოუხდათო მემატიანებს მშობლიური ქვეყნის ისტორიიდან, იესო ქრისტეს გამომცხადებლებს მათივე საკუთარი ქვეყნის მამათმთავრების, აბრაამისა და დავითის მოდგმისად.

ეს გენეალოგიური გატაცებაა სწორედ საყრდენი და საფუძველი ქართული ცნობიერების იმ უპირობო გატაცებისაც, რომელსაც , როგორც დავინახეთ, დავით წინასწარმეტყველთან ნათესაობის არანაირი რეალური საფუძველი არ გააჩნია.

ასე და ამრიგად, ისტორიულად ბიზანტიის მონასტრებში გაცნობიერებული მესიანისტური დანიშნულება ქართველი ერისა და ამასთან სიმბოლურად, დროისა და უამის შესაბამისად , ქართველთა სამეფო დინასტიის, ბაგრატიონთა დინასტიის წარმომადგენელთათვის საიდუმლო წოდებად მინიჭება ”დავითიანობისა”, საყოველთაოდ გასაგებ ფორმაში გარდასახული დავით წინასწარმეტყველის ხორციელი შთამომავლობის ვერსიად, , განივრცობა და გაფართოვდება, თითქოს დაზუსტდება კიდეც მავანთათვის, ბიბლიური დავითის ვინაობა, მისი მამისა და მისი შვილის მოხსენიებით დავითთან ერთად, და ბაგრატიონთა დინასტიის წარმომადგენელი ქართველი მეფენი, გატაცებულნი და ამაყნი ”ქრისტეს ხორციელი მამის” შთამომავლობით, ქმნიან ”დავითიანობის ”გაფართოებულსა და დაზუსტებულ ფორმულას: ”იესიან-დავითიან- სოლომონიან” -ისას. ბიბლიური წარსულის ღალა-დებით კი ეს იესიან-დავითიან- სოლომონიანობა თავისი შორეული ფესვებით ახალ ტიტულს გამოისხამს ბაგრატიონებისათვისაც და ქრისტესთვისაც. ეს ახალი ტიტული კი: „აბ-რაამიან- ლოტიანისა“ აისახება ”ქართლის ცხოვრების“ შესავალში, სადაც საქართველოს ისტორია მემატიანის აზრით მსოფლიო ისტორიას უნდა გადაებას.

ჩვენი მსჯელობის ტონში მკითხველი ალბათ გრძნობს, რაოდენ მინდობილი ვუზიარებთ მას ჩვენს გალიმებას ისტორიის ყოვლად სათუთი მოვლენების საგანგებოდ ცთომილი და მიზანმიმართულად ტენდენციური ინტერპრეტაციების გამო. .არც ისე იოლია თურმე სიმართლისა და ჭეშმარიტების აღიარება არც ცალკეული პიროვნებების, არც ცალკეული ხალხების, არც კაცობრიობის მიერ. ზოგჯერ მას საუკუნეები და ათასწლეულები სჭირდება. და შემთხვევითი არ არის გო-

დებით აღმოთქმული გალობა იოანე-ზოსიმეს სახელით ცნობილ საგალობელში; ”ქებაი და დიდებაი ქართულისა ენისაი“-ში, რომლითაც ”ყოველი საიდუმლოი ამას ენასა შინა დამარხულ არს“. ისევე, როგორც ქართული ენის სილრმეებში დამარხულია საიდუმლო ქართველი ერის ვინაობისა, ვფიქრობთ , ყველა იმ ზემოთქმულთან ერთად, ბაგრატიონების ვინაობის საიდუმლოც უნდა იყოს დამარხული მათსავე საგვარეულო წოდების ენობრივ წიაღში.

ჩვენს მიერ ზემოთ მოხმობილ შრომაში: ”ქალდეველები ბიბლიისა და ქალდეველები ბიზანტიისა“, რომელიც მოხსენების სახით წავიკითხეთ 2001 წელს, ბიზანტიინოლოგთა საერთაშორისი კონგრესზე, სორბონის უნივერსიტეტში, ჩვენ დავაყენეთ საკითხი, ”ბაგრატიონი“-ს, როგორც ცნების წმინდა დავათმეცნიერული, კერძოდ წმინდა ეტიმოლოგიური ინტერპრეტაციისა და განვმარტეთ იგი -სიტყვა „ ბაგრატიონი“- როგორც წარმომდგარი სიტყვიდან: ბაგ-ბარ - ტუ-იონი. „ბაგ-ბარ-ტუ „ ურარტუს მზის ლვთაების ერთერთი სახელწოდებაა, - იონი მანარმოებელია. იმ მზის მსახურნი, რომელსაც ბაგ-ბარ-ტუ ენოდება, „ბაგბარტუიონები“ იქნებიან. დროთა განმავლობაში სიტყვის – „ბაგ-ბარ-ტუიონი“- ს გრადაცია თავისუფლად მოგვცემს ფორმას: „ბაგრატიონის“. თუ ჩვენეული ეტიმოლოგიური ექსკურსი ზუსტია, მაშინ ბაგრატიონები თავიანთი უშორესი ფესვებით ურარტუს მზის ქურუმები არიან და ტაო-კლარჯეთი, როგორც მათი ისტორიული სამთავრო, მათი ძირ-ძველი სამკვიდრებელია თავისი წინარე სახელმწიფოებრივი გრადაციებითა და ცივილიზაციათა ეტაპობრივი ევოლუციით. ყოველშემთხვევაში ერთი რამ მთელი ქართული ისტორიოგრაფიისათვის დადგენილია და გადაწყვეტილი: ბაგრატიონები მაშინაც, როცა შეიძლებოდა რომ მზის ქურუმები ყოფილიყვნენ, და მაშინაც, როცა ბიბლიური დავით წინასწარმეტყველის შთამომავალთა წოდება მიიღეს, ქართველი დიდებულები იყვნენ ერთი და იგივე მინაწყლისა, რომელსაც სხვადასხვა ეტაპის ისტორიული პროცესები წარმოგვიდგენენ სხვადასხვა სახელწოდებით. ისინი თითქოს კვალდაკვალ და განუყრელად მოჰყვებიან მთელი

საქართველოს უსსოფარ ისტორიას. და რაც არ უნდა იყოს სახელწოდება მათი ისტორიული სამკვიდრებლისა, იქნება ეს ურარტუ, თუ სპერი, თუ ტაო-კლარჯეთი, როგორც ჩანს, თავიანთი საგვარეულო ბედისნერითა და ლვთის განვებით, ქართული სულიერების საკურთხეველთან დგანან მარად.

საქართველოს ისტორიის უდიდესი შემფასებელი და დამფასებელი, დიდი საზოგადო მოღვაწე და პუბლიცისტი-ქადაგი, ილია ჭავჭავაძე, რომელმაც ერის საპატრონოდ მარტო ბანკის მმართველობა კი არ იტვირთა, არამედ თეოდოგო-ბაც და მეისტორიეობაც ქვეყნის უძველესი წარსულისა, კრი-ტიკულად იყო განწყობილი „ქართლის ცხოვრების“ მიმართ, ხოლო ამ კრიტიკულ დამოკიდებულებას, როგორც ცნობი-ლია, ძალიან მაღალ შეფასებას აძლევდა მომავალი დიდი მე-ისტორიე ქართველი ერისა – ივანე ჯავახიშვილი. ამ კრიტი-კულ დამოკიდებულებას ივანე ჯავახიშვილმა საგანვებო მოხ-სენება უძღვნა თავის დროზე და გამოკვეთა ის მთავარი უკმა-რისობა ძველი მემატიანების შემოქმედებისა, რომელიც აგ-რერიგად აღელვებდა ილია ჭავჭავაძეს. ეს იყო უკმარისობა ისტორიის ფილოსოფიური გააზრებისა.. ვფიქრობთ, ეს შეფა-სება საკმაოდ მიესადაგება ქართველი ბაგრატიონების ისტო-რიისა და ისტორიული მნიშვნელობის გაგებას.

კიდევ ერთი ძალიან საინტერესო ფაქტი გვინდა შევნიშ-ნოთ ბაგრატიონთა ვინაობის გაგების თვალსაზრისით: საქარ-თველოს სამეფო ტახტის ბაგრატიონებიცა და სომეხთა სამე-ფო ტახტის ბაგრატიონებიც, როგორც ქართულ, ისე სომხურ ისტორიოგრაფიაში, ერთი გენეტიკური ძირიდან მომდინარედ მიიჩნევიან, ბაგრატ სომეხი ბაგრატიონები „დავითინებად“ არ გვევლინებიან. „დავითიანებად“, ანუ ებრაელთა ბიბლიური მე-ფის შთამომავლებად მხოლოდ ქართველი ბაგრატიონები ცხადდებიან. იმის გამო რომ ქრისტეს წინარე მეორე ათასწლე-ულში ბაგრატიონთა ქართული სამკვიდრებლის, ურარტუს ტე-რიტორიებს გაძლიერებული სომხეთის მეფენი იპყრობდნენ და ეპატრონებოდნენ, სომხურ ისტორიოგრაფიაში გაჩნდა პრე-ტენზია ბაგრატიონთა საერთოდ მთელი დინასტიური მოდგმის სომხური წარმომავლობისა. ხოლო იმის გამო, რომ ქართველ

ბაგრატიონთა გადავითიანების მესიანისტური მნიშვნელობა ცნობიერების მიღმა დაგვრჩა, ქართულ მეცნიერებაში თავი იჩინა სრულიად გაურკვეველმა ტენდენციამ საქართველოს ის-ტორიის ყოვლად საკრალური სულიერი ღირებულებების ამოშლისამ. ფეოდალური საქართველოს ისტორიის ცნობილი მკვლევარი, ქ-ნი მარაბ ლორთქიფანიძე, თავის შემაჯამებელ გამოკვლევაში, რომელიც ბაგრატიონებისადმი მიძღვნილ საკ-მაოდ მნიშვნელოვან კრებულში გამოქვეყნდა, 2002 წელს, აღი-არებს რა ქართველ ბაგრატიონთა დავითიანებად წოდების ის-ტორიულ ფაქტს, როგორც შედეგს გარკვეული ეპოქალური თეორიისას, და ადგენს რა თარიღსაც ამ თეორიის შესაძლო შექმნისას, აღიარებს რა ქართველ და სომეხ ბაგრატიონთა ერ-თი გენეტიკური ძირიდან წარმომავლობას, აკეთებს მის მიერვე სწორად წარმოჩენილი წანამძღვრების საწინააღმდეგო დას-კვნას: რომ სომეხთა ბაგრატიონები უსათუოდ სომხები არიან, ხოლო ქართველი ბაგრატიონები – ებრაელები („ბაგრატიონე-ბი“, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიისა და „ბაგრატიონ-თა სახლის“ მიერ გამოცემული კრებული, თბილისი, 2002 წე-ლი). ამგვარ ტენდენციურსა და დანაშაულებრივ დასკვნებს შეცდომაში შეჰვავს არა მხოლოდ რიგითი მკითხველი, არამედ ეკლესია და ფართე საზოგადოებრიობა, რომელიც ნდობით ეკიდება მეცნიერებასა და მეცნიერებს.

ჩვენ მიგვაჩინია რომ საქართველოში უნდა არსებობდეს ბაგრატიონთა დინასტიის შემსწავლელი სამეცნიერო ცენ-ტრი... რადგან ბაგრატიონთა ისტორიის სწორი გაგება გა-ნუყრელად არის დაკავშირებული ქართველი ერის სულიერი მისიის სწორ გაგებასთან. არასწორი გაგება კი უსათუოდ მიგვიყვანს ქართველი ერის სულიერი მისიის არასწორ გაგე-ბასთან და გაგვიმრუდებს მთელ გზას ჩვენი ერის ღვთივბო-დებული სულიერი მომავლისას. თვითშემეცნება ქართველი ერის მიერ თავისი წამდვილი საკაცობრიო სულიერი მისიისა არის უდიდესი ამოცანა, რომლის ამოხსნაც უსათუოდ დაუბ-რუნებს მას, ქართველ ერს თავის ვინაობას, ესოდენ დაუნ-დობლად ამოშლილს მსოფლიო საზოგადოებრიობის ცნობი-ერებით სივრცეში.

6. „ქება პავლესი“.

გიორგი მთანმინდელის სავედრებელი პავლე მოციქულისადმი, იგივ „ქება პავლესი“ (რომლის ხელნაწერიც საქართველოს სახელმწიფო მუზეუმშია დაცული შიფრით: A — 584), როგორც მისი პირველი გამომცემელი, პავლე ინგოროვა გვაუწყებს, გიორგი მთანმინდელისეული იამბიკონური გალობის ფორმით არის დაწერილი და ანდერძის სახით არის დართული მის მიერ ბერძნულიდან ქართულ ენაზე თარგმნილი პავლე მოციქულისეული ეპისტოლეების ხელნაწერზე. ბუნებრივია, რომ გიორგი მთანმინდელის ამ ქება-სავედრებელში აისახებოდა ის აღფრთოვანებაც მთარგმნელისა, რომელიც მას პავლე მოციქულის ეპისტოლეთა თარგმნის დროს უნდა ხლებოდა: აღფრთოვანება პავლე მოციქულის აზროვნებით, მისი გმირული ხედვით, მისი პირველ-ადამიანური ღირსებებით. ბუნებრივია ისიც, რომ პავლე მოციქულისადმი მიმართაც ამ სავედრებელში ასახულიყო ის თავისეული, გიორგი მთანმინდელისეული ეროვნული პოზიციაც, რომელიც პავლე მოციქულისეული აზროვნების კონტექსტში ასოცირდებოდა. პავლე მოციქულის, როგორც პირველი ფენომენის შესახებ, გვიამბობს „საქმე მოციქულთაც“, სადაც დამოწმებულია პავლე მოციქულის ისტორიული ქადაგება ათენის არეოპაგში და არეოპაგის, ათენის უზენაესი სასამართლოს ერთერთი დიდი ბრძენკაცის, დიონისე არეოპაგელის დამოწაფება პავლე მოციქულისადმი. რაც მთავარია, „საქმე მოციქულთა“-ში დამოწმებულია გამოცხადება იქსო ქრისტესი პავლე მოციქულისადმი, როგორც ისტორიული აქტი, რომელმაც გადაატრიალა პავლე მოციქულის აზროვნება, ანუ რომელმაც ქრისტეს და ქრისტიანთა ცეცხლოვანი უარმყოფელი: „სავლე“ აქცია „პავლედ“: ცეცხლოვან ქრისტიანად და ცეცხლოვან ქომაგად ქრისტეს მოვლინებისად და ქრისტეს მოძღვრებისად, და ათქმევინა ებრაელ კაცს: „ერთი გვყავს მამა ღმერთი, ვისგანაც არის ყოველი, და ვისთვისაც ვართ ჩუენ, და ერთი გვყავს უფალი იქსო ქრისტე, ვის მიერაც არის ყოველი და ვის მიერაც ვართ ჩუენ“ (1კორ.8,6).

პავლე მოციქულის ყველა ცნობილი ეპისტოლედან (რომელნიც მიმართული არიან რომაელთადმი, კორინთელთადმი, გალატელთადმი, ეფესელთადმი, ფილიპელთადმი, კოლასელთადმი, თესალონიკელთადმი, თავისი სულიერი შვილებისადმი: ტიმოთესადმი, ტიტესადმი, ფილიმონისადმი, და საკუთრივ თავისი ხალხისადმი, ებრაელთადმი), განსაკუთრებული გავლენა უნდა მოეხდინა გიორგი მთანმინდელზე სწორედ ამ საკუთარი ხალხისადმი, ანუ ებრაელთადმი მიმართულ ეპისტოლეს.

გიორგი მთანმინდელისეულ სავედრებელში პავლე მოციქულის მიმართ სრულიად მკაფიოდ არის გამოკვეთილი ვედრება ახალი ერისათვის, მისი ახალი რწმენისა და ახალი სჯულის განმტკიცებისთვის და ამავდროულად გამოკვეთილია, გმობაც ჰურიათა ლირნებისა ანუ ბილნებისა, ჰურიათა, რომელთაც ჯვარს აცვეს მაცხოვარი, იესო ქრისტე. გიორგი მთანმინდელის მიერ მოხსენიებული „ბილნება ჰურიათა“ აღნიშნული სავედრებლის მიხედვით ის დიდი ცოდვაა, რომელიც პავლე მოციქულმა თავისი სახელოვანი ქადაგებით გამოისყიდა, ანუ დამარხა, დანთქა ქვესკნელს: „ლირნება ჰურიათა დაანთქ ქუესკნელთა“ – მიმართავს გიორგი მთანმინდელი დიდ მოციქულს, როგორც გამომსყიდველს ებრაელთა ცოდვისას.

სიტყვა „ჰურია“ გიორგი მთანმინდელის სავედრებელში „ებრაელს“ ნიშნავს. ქართულ ხალხურ მეტყველებაში ძალიან ცნობილია გამოქმა: „ურის ვალი“. („ურის ვალს ავიღებ და ამას და ამას მაინც გავაკეთებ“), მაგრამ უსათუოდ უნდა აღვნიშნოთ, რომ ამ ცნებამ თავისი განვითარების გარკვეული სემანტიკური გზა განვლო. მნიშვნელობის ცვალებადობა სიტყვის ხმარებაში აშკარაა. ბიბლიაში „ურია“ გვხვდება მამაკაცის საკუთარ სახელად: ცნობილია ურია მღვდელი, ცნობილია ასევე სოლომონ მეფის დედის, ბერსებეს ქმარი – ურია ხეთელი. „როდესაც ურიის ცოლი ფეხმძიმედ შეიქმნა დავით მეფისაგან, გადაწყვიტა დავითმა თავისი მხედართმთავარი – ურია ხეთელი – თავიდან მოეშორებინა; „დილით დაწერა ნერილი იოაბისთვის და ურიას ხელით გაუგზავნა, ნერილში ასე დაწერა: დააყენეთ ურია იქ, სადაც სასტიკი ბრძოლა მოგელით და

მერე მიატოვეთ, რომ გაიგმიროს და მოკვდეს.“ (მეფ. II, 11, 14-15) ცხადია, აქ „ურია“ საკუთარი სახელის აღმნიშვნელია და „ებრაელს“ არ ნიშნავს, მაგრამ, ცხადია, ამ პიბლიურ საკუთარ სახელსაც თავისი წარმომავლობა აქვს. სავარაუდოა, რომ – „ჰურია“ ისეთივე პრინციპით იყოს ებრაულში საკუთარ სახელად ქცეული, როგორც მაგალითად, ქართულში „კახი“: ნიშნავდეს გეოგრაფიულ ეთნოსსაც და პიროვნების სახელსაც და დაკავშირებული იყოს ქალდეველების – ქალაქ „ურ“-თან, ანუ „ჰურ“-თან): ნიშნავდეს ქალაქის „სახელსაც“ და პიროვნების სახელსაც.

ქართულ მეცნიერებაში კარგა ხანია დაისვა საკითხი სიტყვა „ურიის“ ეტიმოლოგიის შესახებ, საყურადღებოა რომ „ურიის“ ცნებითი მნიშვნელობის გაგების პრობლემა ქართველმა ებრაელმა – ბ-ნმა იაკონ პაპიაშვილმა წამოსწინა და ხაზგასმით მიუთითა რომ ქართულში მას თავდაპირველად არ ჰქონდა „ებრაელის“ მნიშვნელობა. (ჟურნ. „განთიადი“ №9, 1991. „ქართველ ებრაელთა წარმომავლობისა და ქართული ასომთავრული ანბანის შექმნის საკითხები“). შემდგომში მოხდა „ურიისა“ და „ებრაელის“ მნიშვნელობათა აღრევა, „ურიის“ ნამდვილი და პირვანდელი მნიშვნელობის ანუ „ჰურიდან წარმომავლობის“ დავიწყება და მისი გადაფარვა „ებრაელის“ მნიშვნელობით. ენის ისტორიაში ეს არც არის საკვირველი. სიტყვა „ბარბაროსი“ ბერძნულში თუ „არაბერძენს“ ნიშნავდა, ჩვენის აზრით, როგორც „ბარ-ბარ“ კულტის მიმდევარს, შემდგომში მან სრულიად საპირისპიროს: „ველურის“ და „არაცივილიზებულის“ მნიშვნელობა მიიღო.

სწორედ ეს აღნიშნული ტერმინოლოგიური აღრევა სიტყვა „ჰურია“-ს მნიშვნელობისა გვესახება ერთერთ საფუძვლად იერუსალიმიდან იესო ქრისტეს კვართის ჩამომტანი ელიოზის ოჯახის (მცხეთელი მოგვების, როგორც ჰურიების, ანუ ქალდეველების) გამოცხადებისად ებრაელებად, კვართის ჩამობრძანებიდან რამოდენიმე საუკუნის შემდგომ: მოგვები ანუ ქალდეური წარმომავლობის მცხეთელ ქურუმთა ოჯახის წევრები, რომელთაც იესო ქრისტეს ჯვარცმამდე იცოდნენ უკვე მოახლოვება მისი ჯვარცმისა, როგორც ჩანს, საუკუნე-

თა შემდგომ, ქართულ ხალხურ ცნობიერებაში, სიტყვა „ჰურიას“ ქალდეური მნიშვნელობის დაკარგვასთან ერთად, კარგავენ თავიანთი ნამდვილი წარმომავლობის გაგებას და, იქცევიან ებრაელებად. ხალხური გაგება კი გადაინაცვლებს ქართველი ხალხის ისტორიულ მატიანეში, რომელიც გადმოცემებზე დაყრდნობით იწერება აღსანერი მოვლენიდან რამოდენიმე საუკუნის შემდგომ და შეიძენს ისტორიულ მნიშვნელობას. ამ საკითხს ჩვენ ვეხებით წერილში: „მცხეთელი მოგვები და ქართული ქრისტიანობის მისტერია“ (ჟურნალი: „ლიტერატურა და ხელოვნება“, 2006 წელი №2). მცხეთელი მოგვების საიდუმლო წრის მიგნებით, ჩვენ მივაგენით მეორე წრეს მოგვებისას იესო ქრისტეს ცხოვრებაში, რომელთაგან პირველის შესახებ ცნობა მათე მახარობელმა შემოგვინახა მხოლოდ, ხოლო მეორის შესახებ – „ქართლის ცხოვრებამ“. თუ მათე მახარობლის მოგვებმა სადღაც შორს, აღმოსავლეთით, უკვე იციან რომ ბეთლემში დაიბადა ქრისტე, მესია კაცობრიობისა, მცხეთელმა მოგვებმა იციან უკვე მოახლოვება იესო ქრისტეს ადამიანური აღსასრულის უამისა და გვევლინებიან ჭირისუფლებად ჯვარცმისა. მცხეთელი მოგვების მეორე საიდუმლო წრის მიგნებით ქართველი ერისა და საქართველოს დაკავშირებულობა იესო ქრისტეს მოვლინებასთან, არა მხოლოდ გაიზარდა, არამედ მიიღო სრულიად ახალი, ამასთან უფრო სიღრმისეული, უფრო მისტერიალური მნიშვნელობა: შემთხვევითი არ არის რომ ისტორიულად ქართველმა ერმა შეიძინა სტატუსი: „თავისი უფალივით ჯვარცმული ერისა“, ხოლო საქართველოს მეფეებმა თავისთავში იგრძნეს ისტორიული დანიშნულება „მესის მახვილად“ ყოფნისა და აღიარეს კიდეც საქართველოს სამეფო მისიად: დაცვა მესის, ანუ ქრისტეს მოძღვრებისა.

რაც შეეხება გიორგი მთაწმინდელისეულ ხმარებას სიტყვისას: „ჰურიათა“, აქ გარკვეულად არის წარმოჩენილი მისი გვიანდელი, ანუ „ქართლის ცხოვრების“ შექმნის დროინდელი მნიშვნელობა, როგორც ქრისტესთან დაპირისპირებული ხალხისა უკვე. პავლე მოციქული კი ის პიროვნებაა, რომელიც ჩამდგარია თავად ქრისტესა და ჰურიათა ანუ ებრაელთა შორის:

„ღმერთი, რომელიც ძველთაგან მრავალგზის და მრავალფერად ელაპარაკებოდა მამებს წინასწარმეტყველთა მიერ, ამ უკანასკნელ დღებში გველაპარაკა ჩვენ ძის მიერ, რომელიც დაადგინა ყოვლის მემკვიდრედ და რომლითაც შექმნა საუკუნენი; რომელიც არის ბრწყინვათა დიდებისა და მისი არსების ხატი, თავისი ძალმოსილების სიტყვით ყოვლისმტვირთველი, თავისი თავით ჩვენი ცოდვების განმწმენდი და ზესკუნელს სიღიადის მარჯვნივ მჯდომელი“ – ასე მიმართავს პავლე მოციქული ეპრაელ ხალხს. (ეპრაელთა მიმართ, 1, 1-3)*

„უფალი განკითხავს თავის ხალხს“ – წერს პავლე მოციქული, თავისი ხალხისადმი მიწერილ ეპისტოლები და აფრთხილებს: „ფრთხილად იყავით, რათა არავინ მოაკლდეს ღმრთის მადლს... რათა არ იყოს თქვენს შორის მემრუშე, ანდა ბილწი, როგორც ისავი, რომელმაც საქმის წილ გაყიდა პირმშოება თვისი“ (ეპრ. 12, 15-16). და აქ საკვირველია, რომ პავლე მოციქული აღარაფერს ამბობს იაკობზე, ესავის ძმაზე, რომელმაც ნადირობიდან დაბრუნებულს, შიმშილისაგან დაუძლურებულსა და მომაკვდავს, საკუთარ ძმას – ესავს – მაცოცხლებელი ლუკმა პირმშოობის ნართმევის ფასად მიაწოდა. ფაქტია, სწორედ ამგვარ იაკობს უწოდა უფალმა „ისრაელი“, ანუ „ღმერთის მძლეველი“ რამეთუ იგი შეეჭიდა თავის ბედისწერას, ისევე, როგორც უფალს და სძლია მას (დაბ. 35, 10). იაკობის მოდგმას კი ეწოდა „ისრაელიანები“.

პავლე მოციქული განკითხავს ესავს და მართალია არ განკითხავს იაკობს, მაგრამ, ვფიქრობ, რომ მკითხველს აიძულებს ესავის შებრალებას. (დაბ. 25, 32)

თუ ესავმა გაყიდა ღვთით ბოძებული პირმშოობა შექამნდის ფასად, იაკობმა აიძულა ძმა და გააყიდინა პირმშოობა ძმისათვის ერთი კერძი შექამანდის მიწოდების ფასად. ასეთია ის ეთიკური სათავე ისრაელიანთა მოდგმისა, რომელთაც ჯვარს აცვეს იესო ქრისტე 30 ვერცხლით მოსყიდული მოცი-

ქულის გზით. და პავლე მოციქული თავისი ხალხისადმი მიწერილ ეპისტოლები მსჯელობს ძველ ალთქმაზე და ახალ ალთქმაზე და გვაუწყებს, რომ „პირველი ალთქმა რომ უნაკლო ყოფილიყო, მეორის დაბადება საძიებელი არ იქნებოდა“-ო (ეპრ. 8,7), რომ თუკი მოსეს სჯულის უარმყოფელი, ორი თუ სამი კაცის მონაბით, შეუწყალებლად უნდა მოკვდეს, როგორ გგონიათ, რამდენად უფრო მძიმე იქნება მისი სასჯელი, ვინც თრგუნავს ძეს ღმრთისას, და არაღირსად რაცხავს ალთქმის სისხლს, რომლითაც განიწინდა...?! (ეპრ. 10, 28-29).

სრულიად ნათელი და გამჭვირვალეა პავლე მოციქულისეული გაგება ახალი ალთქმისა და ძველი ალთქმის, ახლის უპირატესობისა ძველის მიმართ: „ახალიო, რომ თქვა, პირველის სიძველე გვიჩვენა“-ო, ბრძანებს პავლე მოციქული იესო ქრისტეს მიერი ახალი ალთქმის მიმართ და სრულიად ბუნებრივად და ლოგიკურად გვესახება, რომ მთაწმინდელი მამების წმინდათაწმინდა განსჯასა და შემეცნებაში პავლე მოციქულის პიროვნული მიუკერძოებლობა და ღვთიური ბრწყინვალება ჭეშმარიტების აღქმაში, იყო საფუძველი და სანინდარი მისდამი ზეციური მფარველობის შევედრებისა, ზეციური ლოცვა-კურთხევისა და თანამონაწილეობის მიღებისა ახალი წმენისითვის ახალი ერის ღვთიურ დადგინებაში.

როგორც ცნობილია, თავისი ისტორიული სიტყვით, გიორგი მთაწმინდელმა ანტიოქიის პატრიარქის წინაშე ქართველი ერის ვინაობა მისი – ქართველი ერის – პირველმომაქცევლის – ანდრია პირველწოდებულის პირველწოდებულობის ჭრილში წარმოაჩინა და აზრობრივი მახვილი – გვირგვინივით დაადგა იმ წილხვედრას პირველწოდებული მოციქულისაგან მოქცევისას, რომელიც ქართველ ერს ღვთისაგან ჰქონდა ბოძებული. გიორგი მთაწმინდელის მიერ ქართველი ერი განიმარტა, როგორც თორმეტაგან პირველწოდებული მოციქულის მიერ მოქცეული ერი. ქრისტეს მიმდევრობაზე პირველწოდებულისმიერი მოქცეულობა კი გარკვეულ აზრობრივ დატვირთვაზე მიანიშნებდა ღვთისაგან მოქცეული ერისთვისაც და საქრისტიანო მსოფლიოსთვისაც.

* ვსარგებლობ ბიბლიის ახალი გამოცემით: საქართველოს საპატრიარქო, 1989 წელი.

გარდა ამისა: წმინდა გადმოცემით, ქართველი ერის მოქცევა პირველწოდებული მოციქულისაგან აღსრულებული იყო სანაცვლოდ თვით ღვთისმშობელი დედისა, რადგან ქართველი ერი წილხვედრილი იყო დედაღვთისმშობლისა: მაცხოვრის აღდგომიდან ორმოცდამეათე დღეს, როცა სულინმინდის ძალით მოციქულები ალაპარაკდნენ მათვის უცხო ენებზე და მათი მისიები განისაზღვრა ღვთისაგან სულთმოფენობის საიდუმლოს სასწაულებრივი აღსრულებით, ქართველი ერი და საქართველო წილად ერგო დედაღვთისმშობელს. პირველწოდებული მოციქული დედა ღვთისმშობლის შემცვლელად წარმოიგზავნა საქართველოში ქართველი ერის მოსაქცევად და გასანათლავად ქრისტეში.

ეს საწყისიერი გამორჩეული ნიშანი გამორჩეული ეროვნული დანიშნულებისა, ბუნებრივია, თავისი აზრობრივი იდუმალებით აფიქრებდა ეკლესიის მოაზროვნე ქართველ მამებს და ამ ღვთითოძებული დანიშნულების სილომისეული წვდომისა და შემეცნებისაკენ წარმართავდა.

ებრაელი ერის, როგორც რჩეული ერის ფილოსოფია, რომლითაც განმსჭვალულია მთელი ძველი აღთქმა, უარყოფა ამ რჩეულობისა იესო ქრისტეს მიერ და თანასწორობა ერებისა უფლის წინაშე, საგანგებო საგანი ხდება პავლე მოციქულის შემეცნებისა: – დაუშვებელია მიკერძოება უფლისაგან რომელიმე ერის მიმართ – ჭეშმარიტების სიყვარულის ცეცხლოვანებით მიმართავს პავლე მოციქული თავის ხალხს. ცხადია, საქართველოდან გადახვენილი და ღმერთს მიბარებული ქართველი მამებისათვის, საკუთარი ქვეყნის ბედისა და მომავლის, უცხოობაში მაძიებელი სულებისათვის, განსაკუთრებული და გამაძაფრებული ფიქრისა და ტკივილის საგანი უნდა ყოფილიყო პავლე მოციქულის მისია ახალი აღთქმის შეგონებისა საკუთარი ხალხისათვის.

და თითქმის შეუძლებელია, ათონელ მამებს, რომლებიც მთელი წმინდა წერილის: ძველი აღთქმისა და ახალი აღთქმის თარგმანებაში იყვნენ ჩაძირული, თავიანთი აზრი გონისა და გულისა არ გაემახვილებინათ პავლე მოციქულის იმ ეპისტოლებები, რომელიც ებრაელი ხალხისადმი იყო მიმართული და

ძველი და ახალი აღთქმების დაპირისპირებითა და ახალი აღთქმის უპირატესობის წარმოჩენით, მთელ მოძღვრებას ჰქმნიდა აღთქმათა შემეცნებისა და გაგებისას.

რა იყო ძველი აღთქმა და რა იყო ახალი აღთქმა პავლე მოციქულისათვის იმ საგანგებო ეპისტოლეთი, რომელიც ებრაელთადმი, ანუ ძველი აღთქმისეული რჩეული ერისადმი იყო მიმართული?!

ძველი აღთქმა, ანუ პირველი აღთქმა უფლისა ებრაელი ხალხისადმი, პავლე მოციქულის განმარტებით უშუამდგომლო აღთქმაა ღმერთსა და ებრაელ ხალხს შორის დადებული: ამიტომ იგი უფლის მიერ ფიცით დასტურდება. შუამდგომელი არის ფიცი (ებრ. 6, 17). ახალი აღთქმა შუამდგომლობითი აღთქმაა. და შუამდგომელია ძე ღვთისა – იესო ქრისტე.

რა იყო შინაარსი პირველი აღთქმისა. რა აღუთქვა უფალმა ებრაელ ხალხს?! უფალმა ებრაელი ხალხის პირველ მღვდელმთავარს – აბრაამს – გამოცხადებით აღუთქვა გამრავლება და დიდ ხალხად ქცევა, აღუთქვა, როგორც ჭეშმარიტი ღმერთის პირველ მაღიარებელ ხალხს. ღმერთი აბრაამისა, ისაკისა, იაკობისა... და მოსესი ხდება ღმერთი მთელი მათი მოდგმისა, ხოლო მოდგმა აბრაამისა ხდება რა ჭურჭელი ჭეშმარიტი ღმერთისა, ხდება რჩეულიც სხვა ხალხთა და მოდგმათა შორის. ამიტომ აღთქმა გამრავლებისა, ერთდროულად არის აღთქმა ებრაელი ხალხის რჩეულ ხალხად გამოცხადებისაც.

„...ეს იქნება აღთქმა, რომელსაც აღვუთქვამ ისრაელის სახლს ... ამბობს უფალი: ჩავდებ ჩემს რჯულს მის გონებაში და მათს გულებზე დავაწერ მას. და ვიქნები მათი ღმერთი, ხოლო ისინი იქნებიან ჩემი ხალხი“. (ებრ. 8, 10).

სწორედ ამ რჩეული ხალხის წარმომადგენელი პავლე მოციქული შესძლებს და ეტყვის თავის ხალხს: რომ „პირველი აღთქმა რომ უნაკლო ყოფილიყო, მეორის ადგილი საძიებელი არ იქნებოდა“ – ი. (ებრ. 8, 7).

რა იყო ის მეორე, ანუ ახალი, უნაკლო და სრულყოფილი აღთქმა პავლე მოციქულისათვის, რომლის დანიშნულებაც ძველი აღთქმისეული ნაკლოვანების ამოვსება იყო?! უპირვე-

ლეს ყოვლისა, ახალი აღთქმა პავლე მოციქულისათვის თვით ძველი, ბიბლიური აღთქმის წინასწარმეტყველთა მიერ უკვე გაცნობიერებული და ნაწინასწარმეტყველევი აღთქმაა, მათგან-ვე ნაწინასწარმეტყველევი გარდაუვალი მომავალია კაცობრი-ობისა: „აჟა, დადგება უამი, ამბობს უფალი, და ახალ აღთქმას დავუდებ ისრაელის სახლსა და იუდას სახლს“. (იერ. 31, 30).

— ეს ახალი აღთქმა, უკვე ქრისტეს აღთქმაა — ნერს პავლე მოციქული — უკეთესი აღთქმაა და რჯულიერად, (ე. ი. სარწმუნობრივი მოძღვრების თვალსაზრისით, დ. ს.) უკეთეს აღთქმათ ეფუძნება. თავმდები აქ, ამ აღთქმაში, თავად ქრისტეა“. (ებრ. 8, 6).

— ძველი აღთქმისეული კარავი — მიწიერია და ამ კარვი-სეული ღვთისმსახურებით ცოდვათა წარხოცვის, ადამიანის მიერ ცოდვისაგან განთავისუფლების გზა სისხლიანი მსხვერ-პლშენირვაა. რჯულისამებრ პირველი აღთქმისა ყველა ცოდვა განინებდება სისხლით (ებრ. 9, 22). ამიტომ ყველა მღვდელი თქვენი რჯულისამებრ ყოველდღე დგას მსახურებად და მრა-ვალგზის სწირავს ერთსა და იმავე მსხვერპლს, რომელიც ვე-რასოდეს ვერ წარხოცს ცოდვას ადამიანისაგან (ებრ. 10, 11), რადგან შეუძლებელია ცოდვათა წარხოცვა ხართა და ვაცთა სისხლით, ანუ სისხლით პირველი აღთქმისა — მიმართავს პავ-ლე მოციქული თავის ხალხს. — იესო ქრისტესთვის კი ახალი აღთქმისეული გზა უსისხლ — მსხვერპლია: კარავი ღვთისმსა-ხურებისა მისთვის, იესო ქრისტესათვის, ნაცვლად ძველი აღ-თქმისეული მიწიერი კარვისა, მთელი სამყაროა, „უვრცესი და უსრულემნილესი“ (ებრ. 9, 11), არახელთქმნილი, და რაც მთავარია, არა ვაცთა თუ ზვარაკთა სისხლით წარიგზავნები-ან აქ ჩვენი სურვილები და ვედრებანი ღვთისადმი, არამედ გულით წმინდით, რადგან ძე ღვთისა თავისი სისხლით შევიდა უკვე ამ კარვის საკურთხეველში და საუკუნო გამოხსნა პპოვა ადამიანისა. (ებრ. 9, 13). — პავლე მოციქულის ამ სიტყვებით, ფაქტობრივად ბათილად იქნა ცნობილი მთელი ჭეშმარიტება ძველი აღთქმისა და მისი ღვთისმსახურებისა.

ცხადია, პავლე მოციქული აქ აგრძელებს წინასწარმეტ-ყველ ესაიას აზროვნებას, რომლის ბავითაც უფალი ამცნობ-

და თავის ხალხს, რომ დავიღალეო თქვენი მსხვერპლის აყრო-ლებული სუნით... წადით და სიკეთის ქმნა ისწავლეთო.

შეიძლება ითქვას, რომ ჭეშმარიტების თავგანწირული სიყვარულით ამცნობს პავლე მოციქული თავის ხალხს, რომ რჯული, რომელშიაც იუდეველთათვის ღვთის სიტყვა იყო გაცხადებული, დასრულდა იესო ქრისტეს მოვლინებით. რო-მაელთადმი მიწერილ ეპისტოლები პავლე მოციქული მთელი იმპერიის გასაგონად აცხადებს: „რჯულის დასასრული იესო ქრისტეა!“ (რომ. 10, 4), ხოლო „ისრაელი, რომელიც ეძებდა სიმართლის რჯულს, სიმართლის რჯულს ვერ მისწვდა“. (რომ. 9, 31).

იესო ქრისტესაგან ზეშთაგონებული, პავლე მოციქული მოუწოდებს თავის ხალხს, შეიცნოს ქრისტე, რომელმაც თავი-სი თავი, ანუ ერთადერთი მსხვერპლი შესწირა კაცთა ცოდ-ვათოვის და სამარადისოდ დაჯდა ღმრთის მარჯვნივ“ (ებრ. 10, 29). ამრიგად აზრი ახალი აღთქმისა უმსხვერპლო და უსისხლო დაკავშირებაა უფალთან, ცოდვათა გამოსყიდვისა და მიტევების მიღებისათვის, ხოლო იქ, სადაც მიღწევადია მიტე-ვება უფლისაგან, აღარ არისო საჭირო ძღვენი. (ებრ. 10, 18).

პავლე მოციქული არის ის უშუალო წარმომადგენელი ძველი აღთქმისეული ერისა, რომლის გონებაც ზეშთაგონე-ბით აწვდენს თავის სულიერ ხედვას კაცობრიობის აზროვნე-ბაში მომხდარ გადატრიალებას ქრისტეს მოვლინების გზით. იგი აცნობიერებს უზარმაზარ გარდატებას ზნეობრივი და თეოლოგიური ნორმატივების გაგებასა და დადგენაში — ძვე-ლი აღთქმიდან ახალი აღთქმის რეალობაში გადასვლისათვის.

თუ ძველი აღთქმის ჭეშმარიტების მატარებლად წინას-წარმეტყველთა ბაგით ეუწყებოდათ ადამიანებს რჩეულყოფნა ებრაელი ერისა, პავლე მოციქულის განმარტებით ეს უწყება დამთავრებულია, რადგან ღვთიური ჭეშმარიტების მაუწყებ-ლად ადამიანისათვის ამქვეყნად უკვე მოვლენილია თავად ძე — ღვთისა, იესო ქრისტე, განუყოფელი და განუყრელი მამის-გან. ქრისტეს აღიარებითა და რწმენით კი ხდება ძველი აღ-თქმისეული კაცობრიობის ამაღლება სულიერად, ამასთან

ამაღლება როგორც ღვთისმსახურისა და შემწირველის. (შე-დარ.: ეპრ. 10,1).

კაცობრიობის ამ ამაღლების პროცესს განაგებს უკვე თავად მაცხოვარი, იქსო ქრისტე, რომელმაც სძლია წუთისო-ფელს, და მარადიულად მამაში მყოფმა, მარჯვენით დამკიდ-რებულმა მამისაგან, კაცობრიობასაც აღუთქვა განუყრელი თან-ყოფნა თავად ადამიანებთან და საერთოდ მთელ კაცობ-რიობასთან ერთად. ახალი აღთქმით, ქრისტეს მოვლინების გზით ღმერთთან სიახლოვის შესაძლებლობები კაცობრიობი-სათვის ავიდა სრულიად ახალ ხარისხში და უმთავრეს ნიშნად ღმერთთან სიახლოვისა, თავად იქსო ქრისტეს მიერ, განიმარ-ტა სიყვარული მოყვასისა, ანუ თვისება კაცომოყვარეობისა ზოგადად: არა სიყვარული ელინისა – ელინისადმი, ან იუდე-ველისა – იუდეველისადმი, არამედ სიყვარული ადამიანისად-მი, რომელიც არის განურჩევლად თავისი ეროვნებისა, ხატი ღვთისა, და ამასთან ღვთისა ჭეშმარიტის.

საკმარისია ორი-სამი ფრაგმენტის მოხმობა ძველი აღ-თქმისეული იმ მორალური სულისკვეთების შესახეხებლად, რომელიც ფუნდამენტურად შეცვალა იქსო ქრისტემ: მან ძვე-ლი აღთქმისეული ცნება „მოყვასისა“ დაამსხვრია, რითაც რჯული მოსესი აამაღლა. ამ ამაღლებით კი კაცომოყვარეობის ახალი რელიგია შექმნა: რჯულის მიხედვით, როგორც ცნობი-ლია, ყოველ მეშვიდე წელს ცხადდება პატიება მოყვასისა აი, რას ავალებს უფალი იეღოვა თავის რჩეულსა და წმინდა ერს: „აპატიოს ყოველმა მევალემ, ვისაც რამე უსესხებია თავისი მოყვასისათვის, და ნურაფერს მოსთხოვს თავის მოყვასს ან მოძმეს, რადგან პატიება გამოცხადებული იქნება უფლის სა-ხელით.

უცხოელს მოსთხოვე, მაგრამ აპატიე შენს მოძმეს, თუ შენი ვალი აქვს“ (2რჯ., 15,2-3).

„გაკურთხებს უფალი, შენი ღმერთი, როგორც ნათქვამი აქვს შენთვის: ბევრ ხალხს ექნება შენი ვალი, შენ კი არ ისეს-ხებ. ბევრ ხალხზე იპატონებ, შენზე კი არავინ იპატონებს“ (2რჯ. 15,6).

„არ ჭამოთ არავითარი ლეში. შენს სახლში მცხოვრებ მდგმურს მიეცი იგი, მან შეჭამოს, ან უცხოელს მიჰყიდე, რადგან უფლის, თქვენი ღმერთის წმინდა ერი ხართ თქვენ.“ (2რჯ. 14,21).

„როცა მიგიყვანს უფალი, შენი ღმერთი იმ ქვეყანაში, რომლის დასამკვიდრებლადაც მიდიხარ და მოგაშორებს..... შვიდ ხალხს, შენზე მრავალრიცხვანსა და ძლიერს, ხელში ჩაგაგდებინებს და შენც დაამარცხებ მათ, დაარისხე ისინი,..... არ შეკრა მათთან კავშირი, და არც დაინდო. არ დაუმოყ-ვრდე...“ (2რჯ. 7,1-3).

ამგვარი ფრაგმენტების მოყვანა უხვად შიძლება ბიბ-ლიიდან.

თუ „ბიბლია“, როგორც „ძველი აღთქმა“ ეს არის სიყვა-რული იუდეველისა იუდეველისადმი, ახალი აღთქმის განსახი-ერებად, მოყვასის ქრისტიანული სიყვარულის აპოლოგიად, ქართველთა წმინდა წიგნად აღიარებული რუსთაველის „ვეფ-ხისტყაოსანი“ მოგვევლინება, რომელშიც სისხლის ცრემლე-ბით მტირალი და განსაცდელში მყოფი ტარიელი სიმბოლუ-რად ინდოელია, ხოლო ჭეშმარიტ მოყვასად და მხსნელად წარმოჩენილი მეფე როსტევანი და სპასპეტი მისი, ავთანდი-ლი, არაბები არიან...

აქვე ისიც უნდა შევნიშნოთ, რომ ახალი აღთქმით, ჩვენს ხედვაში ფუნდამენტურად შეიცვალა გაგება ადამიანისა, რო-გორც ღვთის ხატისა, რადგან შეიცვალა გაგება მისი დედნისა – სამყაროსა და ადამიანის შემოქმედი ღმერთის.

ახალი აღთქმით ხატი ღვთისა ჭეშმარიტისა არის ხატი წმინდისა სამებისა, სამპიროვანი ერთის და არა „მარტოსუ-ლი“ მამა-ზეციერის. სამება, როგორც სამპიროვანი ერთი, ეს არ არის ერთს მივუმატოთ ორი (1+2). სამება განუყოფელია, ამიტომ სამების პირველი წევრი ანუ ახალი აღთქმისეული მა-მა აღარ არის იგივე თვისობრიობის მატარებელი, რისაც ძვე-ლი აღთქმის მამა-უფალი. გაგება ჭეშმარიტი ღმერთისა იქსო ქრისტემ ფუნდამენტურად შეცვალა ადამიანთა ცნობიერება-ში, რადგან შეცვალა თეოლოგიური გაგება სამყაროს შემოქ-

მედისა. სამყაროს შემოქმედი შემეცნებულ იქნა, როგორც მა-
მა, განუყოფელი ძისაგან, და განუყოფელი სულინმინდისაგან
– სამპიროვანი ერთარსი. ძველი ალთქმისეული აზრი, ძველი
ალთქმისეული ჭეშმარიტი ღმერთის რჩეული ერისა, როგორც
ჭეშმარიტი ღმერთის პირველმაღალიარებლისა და მისივე ჭურ-
ჭლისა, ანუ მისივე ტაძრის, დაიმსხვრა და ამ მსხვრევამ დაპ-
ბადა საიდუმლო იდეა ახალი ერისა, რომელიც იქნებოდა
ჭურჭელი უკვე ახალი ალთქმული ჭეშმარიტი ღმერთისა,
ქრისტეს ნაქადაგევი წმინდა სამების.

თუ პავლე მოციქული ხედავს გარდუვალობას ძველი
ალთქმის შეცვლისას ახალი ალთქმით, პავლე მოციქულის სუ-
ლიერი მემკვიდრე მამები უკვე გარდუვალ დგებიან ღონგიკუ-
რი აუცილებლობის წინაშე, ჩასწვდნენ განგებისეულ მინიშნე-
ბას ძველი ალთქმისეული რჩეული ერის მისის შენაცვლები-
სას ახალი ერის გზით, ამასთან რჩეულობის შინაარსის სრუ-
ლიად ახალი, შეიძლება ითქვას, ალტერნატიული გაგებით:
ერთაშორისი იერარქიულობის მოხსნისა და თანასწორობის
მქადაგებელი ერის გაგებით, კაცომოყვარეობის ახალი სილ-
რმითა და ძალით.

„ჰე, ღმერთო, ერთო,
სამებაო წმინდაო,
ერთარსო და განუყოფელო,
დიდება და მადლობა შენდა...“

„ღვთივკურთხეულო მამულო ჩემო, საქართველოვ,
უდაბნოსა შინა ყვავილო დაუჭქნობელო,
ტაძარო სამებისაო,
კლიტეო დავითისაო
მახვილო მესიისაო,
ადიდე ღმერთი და იხარე მარად!“

სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, მისი
უწმინდესობის „წმინდა სამებისა და საქართველოსადმი ალ-
ვლენილ ამ სავედრებელში“ ეს ორი სიტყვა – „ტაძარო სამე-
ბისაო“ – ქართველი ერისა და საქართველოსადმი მიმართუ-
ლი, რომელსაც ჩვენ ყოველდღე ვისმენთ საპატრიარქოს

შვიდგზის ღოცვებში, ისეთივე დიდი დატვირთვისაა აზრობ-
რივად, როგორც „თანაარსობა მამისადმი“ იესო ქრისტესი
კონსტანტინე დიდის მიერ დამკვიდრებული წიკეის პირველ
მსოფლიო საეკლესიო კრებაზე, კრებაზე მიღებული მრწამსის
აღმსარებლურ სტრიქონებში. ამ სავედრებლით, არა თეოლო-
გით, არამედ გულით გონიერით, მისი უწმინდესობა აგრძე-
ლებს დიდი ათონელი მამის – გიორგი მთაწმინდელის სავედ-
რებელს პავლე მოციქულისადმი: „ახალსა ამას ერსა საღ-
მრთოსა... საღმრთო შჯული დაგვიმტკიცე, ნეტარო“-ო.
ოლონდ ამჯერად იგი, საქართველოს პატრიარქი ამ სავედრე-
ბელს აღმოთქვამს თავად გიორგი მთაწმინდელისეული ახალი
ერისადმი – ქართველი ერისა და მისი ქვეყნისადმი.

„ტაძარი სამებისა“ შეიძლება იყოს მხოლოდ „ახალი
ერი“ ქრისტესი! ვერც დავით წინასწარმეტყველი და ვერც
პავლე მოციქული ვერ ეტყოდნენ თავიანთ ერს: „ტაძარო სა-
მებისაო“, რადგან მათი ერი, „ძველი ალთქმის“ ერია. ახალი
ალთქმის ერი კი, სამების ერი, უკვე ახალი ერი უნდა იყოს.

ბუნებრივია ეს ახალი ერი, მსოფლიო ქრისტიანობისა
და მსოფლიო ეკლესის საიდუმლო პრობლემას წარმოადგენ-
და და წარმოადგენს და ღვთისმშობლის წილხვედრილობის
საიდუმლო გაგებასთან არის დაკავშირებული. ჩვენ მოწმენი
ვხდებით ამ უდიდესი საიდუმლოს საკაცობრიო გაცხადების.

საინტერესოა შევნიშნოთ, რომ საქართველოს დიდი
მგოსანი, აკაკი წერეთელი დიდი მთაწმინდელი მამის – თორ-
ნიკე ერისთავის გმირულ სარდლობაზე დაწერილ პოემაში:
„თორნიკე ერისთავი“, აღწერს რა ბიზანტიის იმპერიის გან-
საცდელსა და მთელი საქრისტიანოს ამ წინამძლოლი ქვეყნის
თხოვნას საქართველოს მეფისადმი, დაეხმაროს შემოსეული
მტრის მოგერიებაში, ამ ეპიზოდით, სიმბოლურად და ისტო-
რიული რეალობის მკვეთრი განცდით წარმოაჩენს თავად
ქრისტიანობის განსაცდელსაც, რომელიც საბოლოოდ, საბერ-
ძნეთში, ათონის მთაზე, ბერად შემდგარმა ყოფილმა ქარ-
თველმა სარდალმა, თორნიკე ერისთავმა უნდა იხსნას. ქარ-
თველი მგოსანი მკვეთრად უსვამს ხაზს იმ გარემოებას, რომ
საქმე ეხება არა ბიზანტიის გადარჩენას განსაცდელისაგან,

არამედ გადარჩენას თავად ქრისტიანობისას: „თუ არა იმის სასწაულსა და მადლს, ქრისტიანობა იღუპებოდა“ – წერს აკაკი წერეთელი.

დღევანდელი გადასახედიდან წაკითხული „თორნიკე ერისთავი“ მარტო ეროვნულ-პატრიოტული თავმოყვარეობის სულისკვეთებისათვის დაწერილი პოემა როდია. თუ დავით აღმაშენებლის იდეა ქართველი ერის, როგორც ქრისტიანობის წინამძღოლი ქვეყნისა რუსთველური ქრისტიანობით, ანუ ვეფხისტყაოსნისული მოყვასის სიყვარულის მოძღვრებით დაგვირვენდა, მე-19 საუკუნის ქართველი მწერლები იწყებენ რამდენიმე საუკუნით ჩამკვდარი ქრისტიანული ზოგადსაკაცობრიო პრობლემების გაღვიძებას და ეროვნული ცნობიერებით გადაწყვეტას. აკაკი წერეთლი ილია ჭავჭავაძესთან ერთად მთელი ქართველი ერის ქრისტიანული ზნეობის იდეალებზე ფიქრობს და „თორნიკე ერისთავში“ ცხოვრების გზის ეროვნულ-ზნეობრივ პოზიციას აყალიბებს.

შეუფასებლად მიგვრჩა აკაკისეული განსჯანი ისეთი დიდი საკაცობრიო პრობლემის ირგვლივ, როგორიც ადამიანური სიცოცხლის, წუთისოფლის გმობისა, თუ არგმობის და უმაღლეს სიწმინდესთან ზიარების საძიებელი ქრისტიანული გზის პრობლემაა.

„ვინცა იწუნებს თავმოყვარებით
ამ მიუწვდომელ დიდსა ქმნილებას
და უარსა ჰყოფს კანონიერსა
ბუნების ყოვლგვარ მოთხოვნილებას,
ის უარსა ჰყოფს თვით შემოქმედსა!
საბრალო არის ის და შემცდარი
რადგან არ იცის, თუ ქვეყნიერად
რად მოგვევლინა ჩვენ მაცხოვარი!“

საოცარი სიმარტივით გადმოგვცემს აქ თავის აზრს აკაკი წერეთელი. თუ ილია ჭავჭავაძემ უბედური მნირის სახით დახატა განდეგილი, აკაკი წერეთელმა იგივე განდეგილი დახატა თორნიკე ერისთავის სახით – ლვთისა და ერის, მშობლიური ქვეყნისა და მშობლიური ერის წინაშე ვალმოხდილი და მაინც ბოლომდე გაერთმთლიანებული სამსახურით. ილიას

მნირიცა და აკაკის თორნიკე ერისთავიც, ორივენი, განდეგილები არიან, მაგრამ სხვადასხვა სახის. ილია ჭავჭავაძის „განდეგილიცა“ და აკაკი წერეთლის „თორნიკე ერისთავიც“ ქართული გადაწყვეტაა ცხოვრების ქრისტიანული გზისა, გადაწყვეტაა რუსთაველის ხალხისა და ქვეყნის მიერ. ილიას, აკაკის, ვაჟას სახით მე-19 საუკუნეში მგოსნები გვევლინებიან მორალისტებად, ცხოვრების გზის რუსთველური პრინციპების მქადაგებლებად და ზნეობრივ მოძღვრებად ქართველი ერისად, ეკლესის ქართველ მამათა მისიების მემკვიდრეებად და აღმასრულებლებად ამ მისიებისად, დროისა და ეპოქის შესატყვისად. და შეიძლება ითქვას, რომ აკაკი წერეთელი – ავტორი პოემისა „თორნიკე ერისთავი“ – არის არა მხოლოდ აღმნერი თორნიკე ერისთავის პიროვნული გმირობის, როგორც ისტორიული მოვლენის, არამედ აკაკი წერეთელი გვევლინება სილრმისეულ ჩამწვდომად განდეგილობის არსისაც ათონელი მამების გულსა და გონებაში. თორნიკე ერისთავი ბიძა იყო გიორგი მთაწმინდელისა და ისინი ერთად, ათონელი ანუ მთაწმინდელი მამები, იოანე და ექვთიმე მთაწმინდელებთან ერთად ჰქმნიდნენ საქართველოს მომავლის სულიერ საყრდენებს. აკაკი წერეთელი საოცარი სიზუსტით აგნებს უმთავრესს მთაწმინდელი მამების ღვანლსა და ნააზრევში და ყოველი ქართველისათვის ახმამაღლავებს საუკუნეებში დამარხულ იდეას საქართველოს ღვთიური ხვედრისას, მისი დანიშნულებისას და მოვალეობისას კაცობრიობის წინაშე. ილია ჭავჭავაძესთან და ვაჟა ფშაველასთან ერთად იგი გვევლინება ქართველი ერის ეპოქალურ მგოსნად, რომელიც პოემას მთაწმინდელ მამაზე ამთავრებს ქართველი ერის, როგორც ქრისტეს რჩეული ერის უფლისადმი შევედრებით და ამით მისი სავედრებელი არა მხოლოდ მიჰებას ათონელ მამათა სავედრებებს, არამედ თავად პოეტიც თავისი ღვთაებრივი იერით ეგებ ინკანაციულადაც მიჰებას მთაწმინდელ მამებს სულიერად და ხორციელად. მათ გზაზე შემდგარი, იგი აცოცხლებს ეროვნული მრნამსის მათეულ გაგებას და შეიძლება ითქვას, რომ გარემოებისამებრ აგრძელებს კიდეც ბიზანტიის იმპერიაში მოღვაწე ეკლესის დიდთა მამათა აზროვნებას და თავის

თანამედროვე საქართველოს გამთლიანებას ელტვის მის დი-
ად წარსულთან.

პოემას თორნიკე ერისთავზე, სადაც მთელი ისტორიაა
გადმოცემული ღვთისმშობლის სახელზედ ქართველ მამათა
მონასტრის აგებისა, ასე ამთავრებს აკაკი წერეთელი: ათონე-
ლი მამები ხედავენ რომ ათონის მთაზე, იბერიის ღვთისმშობ-
ლის ხატის ეკლესია-მონასტრის თავზე, უჩვეულო გამოცხა-
დება ისახება: ივერთა მონასტერს ვარსკვლავებისაგან გამო-
ჭედილი გვირგვინი ეფგმება თავზე და მთელ არემარეს ირ-
გვლივ, მთელი ღამის განმავლობაში ასხივოსნებს და ანათებს
უჩვეულო ელვარებით. მაგრამ აკაკისეულ თანადროულობაში
ეს გამოცხადება გასრულებულია და უკვე აღარავინ არის
ათონის მთაზე ქართველ მამათაგან.

დახატა რა სიდიადე საქართველოს, როგორც ქრისტია-
ნობის გადამრჩენი ქვეყნისა, აკაკი წერეთელი, როგორც შე-
მოქმედი და მოაზროვნე დადგა ახალი ამოცანის წინაშე: გააი-
გივოს თავისი თანამედროვე, ბედკრული საქართველო იმ ოქ-
როს ხანის გზაზე შემდგარ საქართველოსთან, რომელსაც
ათონელი მამები მიუძღვიან წინ. და ეს ამოცანა მან თავის
პოემაში ამოხსნა როგორც პოეტმა შემოქმედმა თავისი ახალ-
ეპოქალური სიზმარეული გამოცხადებით. იგი თავად პოეტი
აკაკი წერეთელი სულიერად შესახლდა ათონის სავანეში და
საქართველოს სულმნათი გმირის სახელით იხილა სიზმარი
წინასწარმეტყველებისა. ეს გახლავთ უკვე მე-19 საუკუნეში
განცდილი პოეტური ნათელხილვა, რადგან არა მხოლოდ
ცხოვრების რეალური სურათები, არამედ სიზმრებიც ატარე-
ბენ დროისა და ეპოქის სუნთქვას. ათონის სავანეში, სადაც
მხოლოდ ღვთისმშობელი ესიზმრებათ და ეხილვებათ მამებს,
სადაც დედა ფრინველსაც კი ეკრძალება მონასტრის თავზე
გადაფრენა, აკაკის სულმნათი საქართველოისა, ერთ ღვთის-
მშობლობა დღეს, სიზმრად ხედავს ქვეყნად ჩამოსულ დედა
ანგელოზებს ღვთისას: წმ. წინოს, ქეთევან წამებულსა და თა-
მარ მეფეს, რომლებიც ღვთისმშობელს ავედრებენ საქართვე-
ლოს. აკაკი წერეთელი ასე გადმოგვცემს ამ ვედრებას:

„თამარს თავს ედგა ძლევის გვირგვინი

და ქეთევანსა – წმინდა მოწმობის,
წინოს ხელთ ეპყრა ჯვარი ვაზისა
ნიშანი დიდი ქრისტიანობის“.

საქართველოს სულმნათის გამოცხადებაში, საქართვე-
ლოს დიდი დედები კი არ ავიდნენ, არამედ ჩამოვიდნენ ათო-
ნის მთაზე.

ისინი ევედრებიან ღვთისმშობელს, ოდესლაც დიდი იდე-
ალების მატარებლისა და ან ცოცხალ-მკვდარი საქართველოს
აღდგენას და ასე ამთავრებენ ლოცვას, და ასე ამთავრებს
თავის პოემასაც – „თორნიკე ერისთავს“ აკაკი წერეთელი:

„დედაო ღვთისავ! შენი ხვედრია
ეს საქართველო დიდ ჭირ წახული,
შეუნდევ ცოდვა! ნუ ააღებ ხელს,
ლმობიერებით იბრუნე გული!
მოეც კურთხევა ზეცით, მაღალო,
და გადმოსახე ძლიერად ჯვარი,
რომ აღადგინო ქართველთა ერი,
დღეს დაცემული და ცოცხალ-მკვდარი!
მისსა მხენობას, მისსა ზნეობას
განუმტკიცებდე აღმაფრენასა
და შენს საქებრად, სადიდებელად
ნუ დაივიწყებ იმ ტკბილ ენასა
რომლითაც თამარ ბრძანებას სცემდა,
ქეთევან მარად შენ გადიდებდა
და წინო ძისა შენისა მცნებას
შენგან რჩეულ ერს უქადაგებდა!

1884 წელი

ლოცვა რომ დაამთავრეს, თამარმა, ქეთევანმა და წი-
ნომ, იმ ადგილზე, სადაც ღამით ვარსკვლავებისაგან ასხმულ-
მოჭედილი გვირგვინი ედგმებოდა თავზე ივერთა მონასტერს,
ცისარტყელა იხილეს, პასუხად უფლისად თავიანთ ვედრება-
ზედ და წინად საქართველოს აღორძინებისად.

ასე აანთო აკაკი წერეთელმა თავისი პოემით თორნიკე მთაწმინდელზე, ქართველი ერის გულსა და გონებაში, საუკუნეთა წიაღ ნაქადაგევი იდეა გიორგი მთაწმინდელისა და საერთოდ მთაწმინდელი მამებისა, ქართველი ერის, როგორც ახალი ერისა და ქრისტეს რჩეული ერის შესახებ.

7. „ქებად და დიდებად ქართულისა ენისაა“-ს პირველალმო-ჩენის გაგებისათვის:

კონსტანტინე ტიშენდორფი

ივანე ჯავახიშვილზე და ნიკო მარზე უფრო ადრე „ქებად და დიდებად ქართულისა ენისაა“-ს ტექსტი მარი ბროსემ და ალექსანდრე ცაგარელმა მიაგნეს, მაგრამ მისი აღმოჩენა ხელახლა გახდა საჭირო. ამ საკითხს შეეხო გოგი სარაჯიშვილი თავის წერილში: „იოანე-ზოსიმე“, რომელიც ამჟამად გამოქვეყნების პროცესშია, კრებულით: „საქართველო მსოფლიო ისტორიის პროცესებში“ (კრებული წარმოადგენს 2008 წლის ოქტომბერში გამართული ბათუმის ნავიგაციის საერთაშორისო ინსტიტუტისა და ნიუ-იორკის ქართველოლოგიური ცენტრის: „ბიბლია და საქართველოს“ ერთობლივი კონფერენციის მასალებს. კონფერენციის ხელმძღვანელი და კრებულის შემდგენელი: დენიზა სუმბაძე) – დ. ს.

„ხელნაწერი ფურცელი, რომელზეც იოანე ზოსიმეს სახელით ცნობილი საგალობლის: „ქებად და დიდებად ქართულისა ენისაა“-ს ტექსტია დაწერილი, იოანე ზოსიმეს ავტოგრაფით, პალიმფსესტის (ორფეონოვან ტექსტის) წარმოადგენს, რომლის ქვედა ფენა ბერძნულია. ამ ფურცლით დაინტერესება ქვედა, ანუ ბერძნულმა ტექსტმა განსაზღვრა, რის გამოც იგი ბერძნულ კოლექციაში აღმოჩნდა სხვა პალიმფსესტურ ფურცლებთან ერთად, რომელთა ზედა ტექსტები აგრეთვე ქართულია. ეს ფურცლები 1858 წელს, ცნობილმა გერმანელმა მეცნიერმა, სიძველეთა შემგროვებელმა და მკვლევარმა – კონსტანტინე ტიშენდორფმა პეტერბურგის საჯარო ბიბლიოთეკას გადასცა. ისინი მან 1844-54 წლებში ახლო აღმოსავლეთში ორჯერ მოგზაურობის დროს მოიპოვა. მის მიერ სინას მთიდან წამოღებული 109 პალიმფსესტური ფურცელი ქართული ხელნაწერებიდან იყო ამოღებული. ტიშენდორფის კოლექციის პალიმფსესტური ფურცლებით 1858 წელსვე დაინტერესდა ცნობილი ქართველოლოგი – მარი ბროსე და გამოაქვეყნა უურნალში: M.Brosset – Etudes de chronologie technique,

Mémoire de l'Académie des scienses, t. XI, №13. მარი ბროსეს ნაშრომებში მოცემულია ქართული მასალის აღწერილობა, განხილულია ფურცელთა მიმდევრობისა და დათარიღების საკითხი. შეძლებისდაგვარად განმარტებულია ფრაგმენტებად ნარმოდგენილი ტექსტების რაობა. აქვე მოთავსებულია ზოგიერთი ფრაგმენტის ფრანგული თარგმანი. სწორედ ამ ნაშრომებში გამოქვეყნდა ბროსეს მიერ „ქება“-ს თარგმანი, რასაც სამეცნიერო საზოგადოება პირველად ფრანგული თარგმანით გაეცნო. მარი ბროსეს დასახელებული ნაშრომი და მასთან ერთად ინფორმაცია ტიშენდორფის კოლექციაში „ქება“-ს ტექსტის არსებობის შესახებ, სამწუხაროდ 30 წლით დავიწყებას მიეცა, მანამ, სანამ 1889 წელს პროფ. ალექსანდრე ცაგარელი არ გამოაქვეყნებდა „Сведения о памятниках грузинской письменности“-ს. „ქება“-ს შემდგომი კვლევა და პუბლიკაცია სინური კოლექციების იოანე ზოსიმესეულ ხელნაწერებში არსებულ ტექსტებს დაეფუძნა“ (გიორგი სარაჯიშვილის – წერილიდან: იოანე ზოსიმე, ანუ ქართველი ბერი ქართული წელთაღრიცხვის შესახებ“).

მკითხველის უურადღება მინდა მივაპყრო ერთ გარემოებას, რომელიც „ქებაი და დიდებაი ქართულისა ენისაი“-ს პირველსა და მივიწყებულ აღმოჩენას შეეხება. როგორც ცნობილია, მე-19-ე საუკუნე ევროპის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა აღმავლობის საუკუნეა. იქმნება მსოფლიო რელიგიის პირველი ისტორიები, ხოლო საუკუნის დასასრულს ყალიბდება მთელი შემეცნებითი მოძრაობა, რომელიც მსოფლიო რელიგიების შედარებითი შესწავლის გზით, სრულიად ახალ საფეხურზე აიყვანს მსოფლიოს მეცნიერულ რელიგიათმცოდნებას. სრულიად განსაკუთრებული მნიშვნელობისად მესახება ჯერ კიდევ მე-18-ე საუკუნის დასასრულს, გერმანელი ფილოსოფოსის, შელინგისმიერი დაყენება საკითხისა, რომ შესწავლილ იქნას კაცობრიობის წმინდა წიგნად აღიარებული ბიბლიია რელიგიური დოგმატური ჩარჩოების მოხსნით, წმინდა საუნივერსიტეტო მეცნიერების დონეზე, აკადემიური ცნებითი აზროვნების, ანუ ფილოსოფიის ენაზე. ცხადია, საკითხის ამგვარი დაყენება აუცილებლობით ითხოვდა ბიბლიის ევრო-

პულ-მეცნიერული კვლევისათვის დამაკმაყოფილებელი აკადემიური ტექსტის არსებობას. სრულიად ბუნებრივი და ლოგიკურია, რომ მე-19-ე საუკუნის პირველ ნახევარშივე, გერმანიაში, ახალგაზრდა თეოლოგის, შემდგომში ლაიპციგის უნივერსიტეტის პროფესორის, კონსტანტინე ტიშენდორფის (კონსტანტინ ფონ ტიშენდორფ) პროფესიულ ოცნებად აღმოცენდება ბიბლიის ფუნდამენტური ტექსტოლოგიური შემეცნება, მიკვლევა იმ ყველაზე ძველი ხელნაწერებისა, რომლებიც ყველაზე სანდოდ და დედნისეულად შეიძლებოდა ყოფილყვნენ მიჩნეულნი. ბ-ნი ტიშენდორფი განსაკუთრებით იყო დაინტერესებული ახალი აღთქმის უძველესი ტექსტების მიგნებით. სწორედ ამგვარი მიზანდასახულობით შეუდგა იგი აღმოსავლეთში მოგზაურობას და ამგვარივე მიზანდასახულობით ავიდა სინას მთაზეც, წმ. ეკატერინეს მონასტერში.

აღსანიშნავია, რომ ბიბლიის მთელი სინური ტექსტის მოსაპოვებლად მკვლევარს ორჯერ დასჭირდა სინას მთაზე ასვლა და მიზანს სწორედ მეორედ ასვლით მიაღწია. წლების მიხედვით, სავარაუდოა, რომ „ქებაი და დიდებაი ქართულისა ენისაი“-ს შემცველი პალიმფსესტი სწორედ მეორედ ასვლით მოპოვებულ ფურცლებს მოჰყოლოდა.

ძალზედ საინტერესო და მნიშვნელოვანია, აღინიშნოს, რომ ამ დროისათვის სინას მთის მონასტრები უშუალოდ რუსეთის იმპერატორის მფარველობაში იმყოფება, ხოლო მონაზვნები სინას მთის მონასტრებისა, რომელიც უშუალოდ და ფიზიკურად განაგებენ ხელნაწერთა განძეულობას, გერმანელთეოლოგს - კონსტანტინ ტიშენდორფს - არ უმხელენ ხელნაწერთა კოლექციებს. გერმანელი თეოლოგი იძულებული ხდება სინას მთის ხელნაწერების შესწავლის უფლება რუსეთის იმპერატორისაგან მიიღოს და 1853 წელს წმ. ეკატერინეს მონასტერში ავიდეს, როგორც ოფიციალური წარმომადგენელი პირადად რუსეთის იმპერატორისა: ალექსანდრე მეორის. მხოლოდ ამ გზით შესძლო ბ-ნმა ტიშენდორფმა ბიბლიის სრული სინური ტექსტის ჩატანა პეტერბურგში, 1859 წელს. ბუნებრივია, ეს გმირული მონაპოვარი გერმანელი ტეოლოგისა - რო-

გორც რუსეთის, ასევე ევროპის სამეცნიერო წრეებში შეფასდა როგორც დიდი მოვლენა მსოფლიო ბიბლეისტიკის ისტორიაში. განსაკუთრებული პატივი კი გერმანელ თეოლოგს მიერგო რუსეთის იმპერატორისაგან. იმპერატორმა ალექსანდრე მეორემ, რომელიც თავისი განათლებულობით არის ისტორიაში ცნობილი, ბიბლიის სრული სინური ტექსტის მოპოვებისა და გამოცემისათვის, გერმანელ თეოლოგს, კონსტანტინ ფონ ტიშენდორფს რუსული თავად-აზნაურობის სამემკვიდრეო წოდება მიანიჭა (Потомственное дворянство). ჩვენი პრობლემის – ბაგრატიონთა დავითიანობის პრობლემის – კონტექსტისათვის საინტერესო იქნება შევნიშნოთ, რომ რუსეთის სამეფო ტახტის აზნაურად წოდებული კონსტანტინ ფონ ტიშენდორფი ამ წოდებისათვის არავის მიუჩნევია რუსული გენეტიკური წარმომავლობის მეცნიერად.

სინური კოდექსი ტიშენდორფმა გამოსცა ლაიპციგში 1862 წელს, სათაურით: "Codex Bibliorum Sinaiticus Petropolitanus, გამოხსნილი წყვდიადიდან მისი აღმატებულების, იმპერატორ ალექსანდრე მეორის მფარველობითა და შემწეობით და ჩამოტანილი ევროპაში და გამოცემული კონსტანტინე ტიშენდორფის მიერ ქრისტიანული მოძღვრების ყოვლად სასიკეთოდა და სადიდებლად".


სინური კოდექსის ხელნაწერი საწუქრად გადაეცა რუსეთის იმპერატორს. 1933 წელს კი, საბჭოთა ხელისუფლების დროს, ეს დიდი ამბით მოპოვებული ხელნაწერი შეუსყიდია ინგლისს და დღემდე გამოიყენილია ლონდონის მუზეუმში.

ზედმინენით შეისწავლა რა ოთხი ფუნდამენტური მნიშვნელობის ხელნაწერი: სინური კოდექსი, ალექსანდრიული, პარიზისა და ვატიკანის კოდექსები, კონსტანტინე ტიშენდორფმა შეიმუშავა ძირითადი ტექსტი, მისაწვდომი ყველა თეოლოგისათვის. ტიშენდორფმა დაასაბუთა, რომ ახალი აღთქმა, რომელიც ჩვენთვის ცნობილ ბიბლიის ტექსტებშია მოცემული, ეს „გვიანდელი და დაუდევარი ნამუშევარი“ კი არ არის გადამწერებისა, შეცდომებით სავსე, არამედ ეს არის ტექსტი, რომელიც ქრისტიანთა მრავალი თაობის დიდი გულმოდგინებისა და სიფრთხილის შედეგად დაუსახირებლად არის მოღწეული ჩვენამდე.

ესოდენ ღვანლმოსილი გერმანელი თეოლოგის – კონსტანტინ ფონ ტიშენდორფის – სინას მთაზე მოგზაურობისა და იოანე-ზოსი-

მეს სახელით ცნობილი „ქებაი და დიდებაი ქართულისა ენისაი“-ს სრულიად უნებლივ პირველმიგნების ამ ვრცელი წიაღსვლით გვინდოდა გვეთქვა რომ, მართალია, ეს განგებისეული და საბედისნერო მიგნება გერმანელი თეოლოგისა, მისთვისაც და საქართველოსთვისაც სრულიად მივიწყებულ იქნა და მისი ხელახალი აღმოჩენა გახდა საჭირო თავად დიდი ქართველი მეცნიერების მიერ, მაგრამ ფაქტია: ღვთის ნებით, „ქებაი და დიდებაი ქართულისა ენისაი“-მ ევროპაში მაინც გააღწია და მარი ბროსეს გზით ევროპულ ქართველოლოგიაში მაინც დაიდო ბინა, იქ, სადაც უკვე საუკუნის შემდეგ, ევროპის ქართველოლოგიური მეცნიერების ერთერთი ბრწყინვალე წარმომადგენელი, ავსტრიელი მეცნიერი-ჰ. ძებიში იტყვის:– ძველი იბერიული ენა ღმერთების ენაა, იგი ცოცხალია დღეს და ქართული ენა ჰქვია (Iberisch – Die Sprache der Gotter. Die Iberische Sprache lebt noch heute!... Ihre lebendige Version nennt sich heute Kartvel". H. Zebisch – "Iberisch, Die Sprache Der Gotter").

დეიზა სუმბაძე



დენიზა სუმბაძე,
თეოლოგი, ფილოსოფოსი,
მწერალი-ესეისტი,

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის არეოპაგიტული სამეცნიერო ცენტრისა და სრულიად საქართველოს მოძრაობის: „ერის უფლებისა და ღირსების“ დამფუძნებელი და ხელმძღვანელი, ყოველთა ქართველთა მსოფლიო კონგრესის ქართველობის პალატის თავმჯდომარე, ავტორი ფილოსოფიურ-ესთეტიკური ესსეებისა და სამეცნიერო შრომებისა: „ადამიანისა და სახელმწიფოს იდეალი პლატონის ფილოსოფიაში“, „თავდავიწყებისათვის, ანუ ირრეალურის ეთიკური გააზრებისთვის პლატონის ფილოსოფიის შუქჩე“, „დიონისე არეოპაგელი და დაწეე ალიგიერი“, „მონამეობა და აზროვნება. (ქრისტიანობა და პლოტინი)“, „მიდმოგონებანი... დედათა მონასტერზე“ (შოთა რუსთაველისა და ანტონ კათალიკოსის მსოფლმხედველობრივი ურთიერთმიმართება), „ქალდეველები ბიბლიაში, ანუ კაცობრიული თვითშემეცნება და ქართველი ერის ფენომენი“, „ქალდეველები ბიბლიისა და ქალდეველები ბიზანტიისა“, „მცხეთელი მოგვები და ქართვული ქრისტიანობის მისტერია... არის მთარგმნელი ძველი ბერძნული ენიდან პროკლე დიადოხოსის „თეოლოგიის პირველსაფუძლებისა“ და წმიდა დიონისე არეოპაგელის ტრაქტატისა: „საიდუმლო ღვთისმეტყველებისათვის“.

Denyza Sumbadze

Theologian, philosopher, writer-esseyist

The founder and supervisor of the Scientific Centre of Areopagical Problems of the Ivane Javakhishvili Tbilisi State University and all-Georgian movement of "Nation's Rights and Dignity". Author of philosophic-aesthetic essays and scientific works – "The Ideal of Man and State in Plato's Philosophy", "On the Mother Lord, or Gelati Academy and the End of the Greek Philosophy", "Martyrdom and Thinking, or Christianity and Plotinus", "Meditations on the Nunnery...", "The Chaldeans in the Bible or the Self Cognition of Mankind and the Georgian Nation's Phenomenon"...

გიორგი მთაწმილელის ნინასნარმეტყველება ქართველი ერის შესახებ

